შპს გურამ თავართქილაძის სახელობის

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

ქართული პროდუქტის პოპულარობის ზრდის ტენდენციები საერთაშორისო ბაზრებზე

ზურაბ შანშიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი

ხელმძღვანელი: პროფესორი გელა ალადაშვილი

თბილისი

2020

ანოტაცია

როდესაც ვსაუბრობთ ექსპორტზე ორიენტირებულ ზრდის მოდელზე, უნდა განვიხილოთ ამ პრობლემის რამოდენიმე ასპექტი. პირველი ასპექტია არსებული საექსპორტო პროდუქტები და მათი გაყიდვის ინტენსიურობა; მეორე ასპექტია ექსპორტის გეოგრაფიის გაფართოება, რაც თავისთავად მოიცავს უკვე არსებულ საექსპორტო ბაზრებზე უკეთესი პირობების მოპოვებას; მესამე საკითხია ახალი საექსპორტო პროდუქტები და მომსახურეობა, როგორც ექსპორტის ზრდის წინაპირობა.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებები. გამოკვეთილია საექსპორტო და საიმპორტო ურთიერთობების ძირითადი ტენდენციები და საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურა. მოცემულია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მახასიათებლების დინამიკა და გამოკვეთილია მოსალოდნელი პერსპექტივები ევროკავშირის და სხვ ქვეყნების მიხედვით, გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

Annotation

სარჩევი

ანოტაცია **2**

Annotation **3**

შესავალი **5**

1.1. ქართული პროდუქტის წარმოების მიმოხილვა 90-იანი წლებიდან დღემდე 9

1.2. საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ეტაპები 20

თავი II. საქართველოს თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკის ანალიზი **30**

2.1 საქართველოს ექსპორტის დინამიკა და სტრუქტურული თავისებურებები 2000-2020 წლებში 30

2.2. საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ანალიზი 43

თავი III. ქართული ექსპორტის მასტიმულირებელი და შემაფერხებელი ფაქტორები **46**

3.1. ქართული პროდუქტის ექსპორტის პრობლემები და პერსპექტივები 46

3.2. ქართული პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე დამკვირდების პერსპექტივები 50

დასკვნა **63**

გამოყენებული ლიტერატურა **65**

შესავალი

ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოვება და სამეურნეო კავშირების განმტკიცება, კანონზომიერ მოვლენად იქცა. ამ პროცესების გაღრმავებას და გაფართოვებას ხელი შეუწყო მსოფლიოში უკანასკნელ პერიოდში მომხდარმა პოლიტიკურმა ძვრებმა, ეროვნული სამეურნეო ურთიერთობების ლიბერალიზაციამ. მსოფლიოს ქვეყნები საკუთარი ეროვნული ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისას უფრო მეტად ითვალისწინებენ საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოებისა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში აქტიურად ჩართვის აუცილებლობას.

ამდენად, საქართველო, რომელმაც სულ ახლო წარსულში მოიპოვა პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ბუნებრივია ამ გლობალური მოვლენებიდან გამონაკლისი და იზოლირებული არ უნდა დარჩეს, მაგრამ შიგა-ეკონომიკური პროცესების მოუწესრიგებლობა და ახალ სამეურნეო სისტემაზე გადასვლისას არსებულმა სიძნელეებმა რამდენადმე შეაფერხა მისი მსოფლიო მეურნეობასთან მიერთებისა და საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოების პროცესი.

მთავარი მაინც ის არის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი შეუქცევადია; მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს სამეურნეო რეფორმების რეალიზაცია. ამ ფონზე აქტუალურია საგარეო ეკპნპმიკური აქტივობის ძირითადი მიმართულებების განხილვა და ანალიზი.

ვაჭრობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობებში. ზოგიერთი მეცნიერი იმდენად შორს მიდის ვაჭრობის როლის შეფასებაში, რომ ვაჭრობასა და ომს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად შემადგენლებად მიიჩნევს.

საერთაშორისო ვაჭრობა უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, ვინაიდან ქმნის მჭიდრო საქმიან კავშირებს ქვეყნებს შორის. იგი მშვიდობის ფაქტორია. თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას.

დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულია ყველა ქვეყანა, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს თავისი თავი. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება გარკვეული პროდუქციის იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვა შესაძლებელია ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით. რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით უფრო დიდი ნაწილი მისი ეროვნული პროდუქციისა არის ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო დაადგა სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციის საკმაოდ მტკივნეულ გზას, რამაც შესაბამისი საგარეო –სავაჭრო პოლიტიკის

შემუშავება და საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში ინტეგრაცია უალტერნატივო მოვლენად აქცია. მნიშვნელოვანია საქართველოს გაწევრიანება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო), რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციას.

საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გარდამავალი საქართველოსთვის განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, რომელიც ხანგრძლივი იზოლაციის შემდეგ აქტიურად ცდილობს კუთვნილი ადგილი დაიკავოს მსოფლიო თანამეგობრობაში და მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკის სრულყოფილი ინტეგრირება გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში.

კვლევის აქტულობა. თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც ახალი ტექნოლოგიები, გლობა-ლიზაცია და ეკონომიკური აქტივობა პრაქტიკულად შლის ქვეყნებს შორის საზღვრებს, ხოლო საერთაშორისო ვაჭრობა მიმდინარეობს უაღრესად მკაცრი კონკურენციის პირობებში, ნებისმიერი სახელმწიფოს ამოცანაა შექმნას პირობები, რომლებიც გარანტირებულად უზრუნველყოფენ მოქალაქეთა ღირსეული საქმიანობის უფლებას.საექსპორტო პოტენციალის ზრდა არ ეფუძნებოდა რეალურად გააზრებულ კონკურენტუნარიანობაზე დაფუძნებულ სტრატეგიას. კონკურენტული უპირატესობის გარეშე კი ნებისმიერი სტრატეგია არ წარმოადგენს რაიმე ღირებულს.

როგორ განვმარტავთ კონკურენტულ უპირატესობას, ცხადია არსებობს ძალიან ბევრი განმარტება, მაგრამ საფუძვლად ავიღოთ ცნობილი განმარტება რომელიც ეკუთვნის შუმპეტერს: კონკურენტუნარიანობა ესაა სხვადასხვა კონკურენტული ქმედება, რომელიც საშუალებას გაძლევს მოიპოვო და შეინარჩუნო უპირატესობა.

ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია სწორად იქნას გააზრებული თუ როგორ შეიძლება მოიპოვო უპირატესობა, ვინაა ჩართული ამ ქმედებებში, რამდენად აძლიერებენ ერთმანეთს თუნდაც ერთი დარგის შიგნით მომუშავე კონკურენტები, როგორია სახელმწიფოს როლი საექსპორტო პოტენციალის ზრდის და მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების საკითხში.

კვლევის მიზანი. წარმოდგენილი ნაშრომის ვლევის მიზანია ქართული პროდუქტის პოპულარობის ზრდის ტენდენციები ანალიზ საერთაშორისო ბაზრებზე

კვლევის ამოცანა. დასახული მიზნის განსახორციელებლად ნაშრომში ვაანალიზებთ საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკას და ქართული პროდუქტის წარმოების ისტორიული მიმოხილვას; საქართველოს თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკის ანალიზი; ქართული ექსპორტის მასტიმულირებელი და შემაფერხებელი ფაქტორების კვლევა; არსებული პერსპექტივების წამოჩენა.

კვლევის თეორიულ მეთოდური ბაზა. კვლევის მეთიდებად გამოყენებულია ეკონომიკის ზოგად თეორილი, დაკვირვების და მონაცემთა ანაზის მეთოდები. ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია ქართველი და უცხოელი მეცნიერ ეკონომისტების ნაშრომები საკვლევ საკითხთან დაკავშირებით; პერიოდულ გამოცემებსა და ინტერნეტ სივრცეში განთავსებული ბუბლიკაციაები, საქართველოს საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები და მონაცემები.

ლიტერატურის მიმოხილვა: ნაშრომთან დაკავშირებით გამოყენებული ქართული და უცხოური ლიტერატურიდან გამოვყოფდი შემდეგს.

2012 წლის მიმოხილვა. საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. მარტი 2013

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკაში 2012 წელს მომხდარი ძირითადი ცვლილებები და ხაზგასმულია ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები, რომელთა დაძლევა ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებლებისა და სხვა შესაბამისი ინსტიტუტებისაგან სათანადო ყურადღებას მოითხოვს. ამ ანგარიშში გამოყენებულ მონაცემთა უმეტესობა აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური ვებ–გვერდებიდან.

ე.ბარათაშვილი, რ.ქუთათელაძე, ლ.გვაჯაია, გ.ყურაშვილი; „საინვესტიციო მენეჯმენტი—, თბ.2011წ.

„საინვესტიციო მენეჯმენტი— (ე.ბარათაშვილი, რ.ქუთათელაძე, ლ.გვაჯაია, გ.ყურაშვილი) წიგნში განხილულია ინვესტიციის მართვის ასპექტები, მასთან დაკავშირებული პრობლემები. გაანალიზებულია საინვესტიციო გარემოზე მოქმედი პოლიტიკური მდგომარეობები, ინვესტიცციის მოზიდვის სქემები, საინვესტიციო გარემოს შექმნის საკითხები.

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების მოთხოვნები სურსათის უვნებლობისადმი საქართველოში. თბ.2015.

ბროშურაში წარმოდგენილია შეთანხმების მხოლოდ მე-4 კარი, ანუ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სფერო. კერძოდ კი ის საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებები, რომელიც საქართველოში სურსათის უვნებლობას და მასთან დაკავშირებულ სფეროებს უკავშირდება.ასოცირების შეთანხმებით სავაჭრო სფეროს რეგულირება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებს ექვემდებარება. ამიტომ იმისთვის, რომ გავერკვეთ, თუ რას ნიშნავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა და რატომ არის იგი კავშირში ქვეყანაში სურსათის წარმოებისა და დისტრიბუციის სფეროს ძირეულ

რეფორმასთან, აუცილებელია ჯერ გავერკვეთ თუ რას ნიშნავს „თავისუფალი ვაჭრობა“ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების მიხედვით.

მ. ემერსონი, თ. კოვზირიძე.; საქართველო და ევროკავშირი. (მოკლე გზამკვლევი). თბ.2016. - გზამკვლევში მარტივად არის ახსნილი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DčFთA). გზამკვლევი საინტერესოა იმითაც რომ მასში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავენ მხოლოდ ავტორების აზრს.

გიორგი ღაღანიძე, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018 - აღნიშნული მონოგრაფია წარმოადგენს ავტორის მიერ ბოლო 10 წლის მანძილზე განხორციელებული კვლევების ერთობლიობას. მონოგრაფიაში შესულია, როგორც ადრინდელი, ასევე უახლესი კვლევები, რომლებიც ფოკუსირებულია ისეთ საკითხებზე როგორიცაა: საქართველოს საექსპორტო პოტენციალის შეფასება; ახალი საექსპორტო პროდუქტები და ბაზრები; მმართველობითი გადაწყვეტილებები ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნისათის. აღნიშნული ნაშრომი საინტერესო იქნება, როგორც ამ სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებისათვის ასევე მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის, რომლებიც იკვლევენ მსგავს საკითხებს. ნაშრომში მოტანილი კვლევის ზოგიერთი მეთოდი, სრულიად ახლებურად აყალიბებს საექსპორტო პოტენციალთან დაკავშირებული საკითხებზე მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

კვლევის პროცესში გამოყენებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითა-რების სამინისტროსა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საგარეო ვაჭრობისა და ექსპორტის დინამიკის მონაცემები 2015-2020 წლებში

ქართული ლიტერატურის მსგავსად, ჩემთვის მეტად საჭირო და ინფორმაციული გამოდგა უცხოური ლიტერატურაც, რომელიც ან ინტერნეტით მოვიძიე, ანდა ქართულ მასალებში იყო მოხსენიებული. ასეთები იყო: Гриффин Р., Пастей М., Международный бизнес, изд. сангл., под ред, А. Г.Медведева, СПБ.: Питер, 2006. Bount A. 2016 The Expected Benefits of Trade liberalization for world Income and development,Opening the „Bleck Box“ of Global Trade Modeling. Food Policy Review, 8, IFPRI, Washington - საუბარია მსოფლიო ეკონომიკის ზრდაში ლიბერალიზაციის დადებით წვლილზე და სხვ. ჩვენთვის საინტერესო პრობლებურ საკითხებზე. ასევე დახმარება გაგვიწია ინტერნეტით მოძიებულმა მასალებმა.

თავი I. საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა და ქართული პროდუქტის წარმოების ისტორიული მიმოხილვა

1.1. ქართული პროდუქტის წარმოების მიმოხილვა 90-იანი წლებიდან დღემდე

საქართველოს მრეწველობას გასული საუკუნის 90-იან წლებამდე წამყვანი ადგილი ეკავა ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში, მასში წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა მნიშვნელოვანი დარგი. მიუხედავად იმისა, რომ წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილის მიხედვით, უპირატესი კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგები იყო, მთელი რიგი სხვა უმნიშვნელოვანესი სამრეწველო პროდუქციის წარმოებით (ელექტროენერგია, მინერალური სასუქები, ქიმიური ბოჭკოები და სხვა) მოსახლეობის ერთ სულზე, საქართველო უსწრებდა ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანასაც კი.

XX საუკუნის ბოლოს, ეკონომიკის ტრანსფორმაციით განპირობებულმა კრიზისმა ბევრი დარგი მთლიანად გაანადგურა, ბევრი კი განადგურების პირას მიიყვანა. ეს პროცესი ჯერაც გრძელდება, ახლის მშენებლობა კი ძალზე ნელა ხორციელდება. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან 2003 წლის ჩათვლით განვლილი პერიოდი საქართველოს მრეწველობაში შეიძლება დაიყოს, როგორც დაღმავალი და აღმავალი პერიოდი. აქედან, 1991-1995 წლები შეიძლება შეფასდეს როგორც კატასტროფულად დაღმავალი, როცა მრეწველობამ 1990 წელს წარმოებული პროდუქციის მხოლოდ 14% გამოუშვა, ისიც მხოლოდ ღირებულებითი მაჩვენებლის მიხედვით. 1996-2002 წლები კი _ როგორც შედარებით აღმავალი, როცა ყოველ მომდევნო წელს, წინა წლის მიმართ, 1998 და 2001 წლების გამოკლებით, პროდუქციის გამოშვების მატება აღინიშნებოდა[1].

2002 წელს წარმოებული პროდუქციის მოცულობამ 1990 წლის დონის მიმართ 19,7% შეადგინა. მ.შ. მომპოვებელ მრეწველობაში _ 37,1%, გადამამუშავებელში _ 16,4%. 2008 წ. საქართველოს მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა (ჩვენი გაანგარიშებით) 1990 წლის დონის (რომელიც სრულებითაც არ ყოფილა საუკეთესო) მხოლოდ 30,6% იყო. მდგომარეობა 2009 წელს კიდევ უფრო გაუარესდა (ცნობილი მოვლენების ზეგავლენით) და წინა წლის მიმართაც კი წარმოებული პროდუქციის მოცულობა 0,6 პროცენტული პუნქტით იყო შემცირებული.შემცირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადამამუშავებელ მრეწველობაში იყო (25,4 პროცენტული პუნქტი).

[1] ნ. არევაძე საქართველოს მრეწველობა და მისი განვითარების პერსპექტივები

მაშასადამე, განვითარების ასეთი ტემპების პირობებში, კიდევ ორ ათეულ წელზე მეტი დაგვჭირდება, რომ თუნდაც 1990 წლის დონეს მივაღწიოთ. შედარებისათვის ვიტყვით, რომ თუ 1990 წელს მრეწველობა უზრუნველყოფდა ქვეყანაში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის 22,9%-ს, მასზე მოდიოდა დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 30,3% და ინვესტიციების 31,5%, 2008 წელს მრეწველობამ უზრუნველყო მშპ-ის მხოლოდ 8%. დასაქმებული მუშახელის რაოდენობამ კი 85,7 ათასი კაცი შეადგინა, ანუ 1990 წელთან შედარებით 5,4-ჯერ ნაკლები, რომელთა დიდმა ნაწილმა უმუშევართა რიგები შეავსო. მაშასადამე, XX საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნის მახასიათებლები ჰქონდა. ახლა მან მათი უმეტესობა დაკარგა და ინდუსტრიულად სუსტად განვითარებული ქვეყანა შეიძლება ეწოდოს, რომელიც, ამავე დროს, განვითარებადი ქვეყნის ნიშნებითაც ხასიათდება. საქართველო მეტ-ნაკლები წარმატებით, ახლა ცდილობს ადგილის დამკვიდრებას განვითარებულ ქვეყნებს შორის, რომლის მიღწევაც გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებითა და მის ახალ ტექნიკურ საფუძველზე გადაყვანით არის შესაძლებელი, თუმცა ეს არც ისე იოლი საქმეა, რამდენადაც ის, რაც XX საუკუნის 90-იან წლებამდე გვქონდა, ძირითადად განადგურებული, გაძარცვულა და ჯართად არის საზღვარგარეთ გაყიდული. სწორედ ამის მაჩვენებელია ექსპორტ-იმპორტის მონაცემებიც, რომლის ექსპორტის სტრუქტურაში გასული საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით სწორედ შავი ლითონის ჯართი იყო წარმოდგენილი. საქართველოს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში არსებითად შეიცვალა, თუ XX საუკუნის 90-იან წლებამდე მასში უპირატესი იყო კვების მრეწველობა (36,9%), მსუბუქი მრეწველობა (22,0%), მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება (15,1%), სამშენებლო მასალების მრეწველობა (5,3%) და სხვა, 2009 წელს საკვები პროდუქტების წარმოებაზე, სასმელების ჩათვლით 29,2% მოდიოდა, მსუბუქ მრეწველობაზე მხოლოდ 1,2%, ლითონის მზა ნაწარმის წარმოებაზე 1,8%, მ.შ. მანქანებისა და მოწყობილობის წარმოებაზე 0,7%. მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტროენერგიის წარმოება 2,0%-დან თითქმის 17%-მდე, ანუ 8-ჯერ და შავი მეტალურგია 3,5%-დან 11,7%-მდე, ანუ 3-ჯერზე მეტად, ყველა სხვა დარგის მიხედვით მდგომარეობა გაუარესებულია.[2]

დარგების ზოგიერთ ჯგუფში (სექტორებში) მეურნეობის თვითკმარობის (რაც შეიძლება შეფასდეს ამ დარგების ჯგუფების მიხედვით ექსპორტის და იმპორტის მოცულო-ბებისა და, ასევე, ადგილობრივი წარმოების (ექსპორტის ჩათვლით) იმპორტის მოცულობასთან შედარებებით) მიღწევა საჭიროა არა წარმოების სწრაფი ზრდის ხარჯზე მოცემული ჯგუფის

[2] საქართველოს მრეწველობა 1985-1997 წწ. სტატისტიკური კრებული, თბ. 1999.

(სექტორის) ყველა დარგში, არამედ ამ ჯგუფში შერჩეული პრიორიტეტული დარგების (ქვესექტორების) ხარჯზე, რომელთა პროდუქციის ექსპორტი იმპორტის კომპენსაციას მოახდენს ამ ჯგუფის სხვა დარგების სასაქონლო პოზიციების მიხედვით (ან, რაც უკეთესია, საქონლის ექსპორტი მოცემული ჯგუფის დარგების მიხედვით უფრო მეტი იქნება, ვიდრე იმპორტი).

ეკონომიკის პოსტსაბჭოური ვარდნის დროს, 90-ინი წლების დასაწყისში, ძალიან შეიკვეცა წარმოება მსუბუქ მრეწველობაში. 1990 წელს მისი გამოშვების ხვედრითი წილი მთელ მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობაში 23,6% იყო 118 , მაგრამ შემდეგ, ძალიან სწრაფად, თითქმის ნულოვან დონემდე დაეცა. ფეხსაცმლის და ტანსაცმლის წარმოების შეკვეცის მიზეზები გასაგებია. როგორც ვიცით, ამ დარგების პროდუქცია კონკურენტუუნარო იყო და ამიტომ მოსახლეობა უპირატესად იმპორტულ პროდუქციას ყიდულობდა. მაგრამ, ამავე დროს, მუშაობა მსუბუქი მრეწველობის იმ საწარმოებშიც შეწყდა, რომლებიც უშვებდნენ კონკურენტუნარიან პროდუქციას (საქართველოში, მაგალითად, შეიკვეცა აბრეშუმის წარმოების მთელი ტექნოლოგიური ციკლი). ვნახოთ, რა მდგომარეობაა მსუბუქ მრეწველობაში ამჟამად. სტატისტიკურ წელიწდეულში მრეწველობაში პროდუქციის გამოშვების ამსახველ ცხრილში[3] მსუბუქი მრეწველობა წარდგენილია სამი სტრიქონით: 1) ტექსტილის წარმოება; 2) ტანსაცმლის და ა. შ. წარმოება; 3) ტყავის, ტყავის ნაწარმის და ფეხსაცმლის წარმოება. 2011 წელს ამ სტრიქონების მიხედვით ჯამურმა გამოშვებამ (ე. ი. გამოშვებამ მსუბუქ მრეწველობაში) შეადგინა 92,9 მლნ ლარი, რაც მრეწველობის მთლიანი გამოშვების 1,4% შეადგენს. ე. ი. 23 წლის განმავლობაში არ მოხდა ამ დარგის ახალი ტექნოლოგიების ბაზაზე თუნდაც ნაწილობრივი რეანიმაცია. ამდენად, არაა გასაკვირი შესაბამისი პროდუქციის მნიშვნელოვანი იმპორტი 637,5 მლნ ლარის ოდენობით (შეჯამებულია შესაბამისი ცხრილის [4]12 0 რამდენიმე სტრიქონი), რა თქმა უნდა, ექსპორტის მცირე მოცულობის პირობებში 54,4 მლნ ლარი. ე. ი. ამ დარგში იმპორტი ექსპორტს 11,7-ჯერ აღემატება, პროდუქციის ადგილობრივ გამოშვებას კი _ 6,9-ჯერ. პოსტსაბჭოური ვარდნის დროს სხვა დარგებთან შედარებით ნაკლებად დაზარალდა ქიმიური მრეწველობა (1990 წელს ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში გამომუშავებული პროდუქციის ხვედრითმა წილმა მთელ მრეწველობაში 4,9% შეადგინა), რამდენადაც მოხერხდა საწარმოო გაერთიანება "აზოტის" და ზოგიერთი მცირე საწარმოს გადარჩენა. ბოლო პერიოდში მწყობრში ჩადგა მეტალოპლასტიკების ქარხანა. 2011 წელს ამ დარგის გამოშვებამ 457,3 მლნ

[3] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2012 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. _ თბილისი, 2013, გვ. 140-141..

[4] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2012 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. _ თბილისი, 2013, გვ. 250-255

ლარი შეადგინა (მრეწველობის მთელი გამოშვების 7,1%), ექსპორტის მოცულობამ მიაღწია 377 მლნ ლარს, იმპორტი კი გაცილებით მეტი იყო _ 841,6 მლნ ლარი. უფრო ნაკლებია რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება _ 116,8 მლნ ლარი, ამასთან, პოლიმერული მასალების იმპორტის მოცულობა იყო 486,6 მლნ ლარი, ექსპორტი კი _ 7,6 მლნ ლარი. ე. ი. ქიმიური და პოლიმერული პროდუქციის მიხედვითაც ექსპორტ-იმპორტის სალდოს მაჩვენებელი ასევე ძალიან არასახარბიელია, ამასთან იმპორტი ამ დარგების მიხედვით ასევე მნიშვნელოვნად აღემატება საკუთარ (ადგილობრივ) წარმოებას. შედარებით დიდი ხვედრითი წილი მრეწველობის მთლიან გამოშვებაში მეტალურგიულ წარმოებაზე მოდის. ლითონის მზა ნაწარმის წარმოებასთან ერთად ამ დარგის გამოშვებამ 2011 წელს შეადგინა 996,3 მლნ ლარი (მრეწველობის მთელი გამოშვების 15,5%). ამასთან არაძვირფასი ლითონების და მათი ნაწარმის იმპორტმა შეადგინა 942,5 მლნ ლარი, ექსპორტმა კი _ 877,2 მლნ ლარი. მაშასადამე, ამ დარგში, სხვა დარგებთან შედარებით, მდგომარეობა უკეთესია, მაგრამ ეს დარგიც მოითხოვს გაფართოებას და მოდერნიზაციას. კერძოდ, თანამედროვე პირობებში რკინის და სხვა მეტალების ბევრი პროდუქციის ჩანაცვლება ხდება კომპოზიტური მასალებით (მათ შორის, ეტალოპლასტიკური კონსტრუქციებით), ამიტომ, საჭიროა ამ მიმართულებით ახალი შესაბამისი სიმძლავრეების შექმნა.[5]

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან 2003 წლის ჩათვლით განვლილი პერიოდი საქართველოს მრეწველობაში შეიძლება დაიყოს, როგორც დაღმავალი და აღმავალი პერიოდი. აქედან, 1991-1995 წლები შეიძლება შეფასდეს როგორც კატასტროფულად დაღმავალი, როცა მრეწველობამ 1990 წელს წარმოებული პროდუქციის მხოლოდ 14% გამოუშვა, ისიც მხოლოდ ღირებულებითი მაჩვენებლის მიხედვით. 1996-2002 წლები კი _ როგორც შედარებით აღმავალი, როცა ყოველ მომდევნო წელს, წინა წლის მიმართ, 1998 და 2001 წლების გამოკლებით, პროდუქციის გამოშვების მატება აღინიშნებოდა. 2002 წელს წარმოებული პროდუქციის მოცულობამ 1990 წლის დონის მიმართ 19,7% შეადგინა. მ.შ. მომპოვებელ მრეწველობაში _ 37,1%, გადამამუშავებელში _ 16,4%.[6]

2008 წ. საქართველოს მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა 1990 წლის დონის მხოლოდ 30,6% იყო. მდგომარეობა 2009 წელს კიდევ უფრო გაუარესდა (ცნობილი მოვლენების ზეგავლენით) და წინა წლის მიმართაც კი წარმოებული პროდუქციის მოცულობა

---

[5] ბურდული ვ. სამრეწველო პოლიტიკა: რეალიზაციის ინსტიტუციური უზრუნველყოფა და ეკონომიკური მექანიზმი. _ საქართველოს მა "მაცნე". ეკონომიკის სერია, 1996, N1-2; ბურდული ვ. გარეეკონომიკური ურ-თიერთობები და სამრეწველო პოლიტიკა. _ ჟ. პოლიტიკა, 1999, N3;

[6] რ. აბესაძე, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეტაპები და თავისებურებები საქართველოში / თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული შრომების კრებული N IV 2011 გვ. 6

0,6 პროცენტული პუნქტით იყო შემცირებული.შემცირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადამამუშავებელ მრეწველობაში იყო (25,4 პროცენტული პუნქტი). მაშასადამე, განვითარების ასეთი ტემპების პირობებში, კიდევ ორ ათეულ წელზე მეტი დაგვჭირდება, რომ თუნდაც 1990 წლის დონეს მივაღწიოთ. შედარებისათვის ვიტყვით, რომ თუ 1990 წელს მრეწველობა უზრუნველყოფდა ქვეყანაში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის 22,9%-ს, მასზე მოდიოდა დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 30,3% და ინვესტიციების 31,5%, 2008 წელს მრეწველობამ უზრუნველყო მშპ-ის მხოლოდ 8%. დასაქმებული მუშახელის რაოდენობამ კი 85,7 ათასი კაცი შეადგინა, ანუ 1990 წელთან შედარებით 5,4-ჯერ ნაკლები, რომელთა დიდმა ნაწილმა უმუშევართა რიგები შეავსო[7].

მდგომარეობა გართულდა 2008 წლის აგვისტოს ომისა და მძლავრი ფინანსური კრიზისის ზეგავლენით. საქართველო, რომელსაც ჯერაც არ გადაულახავს XX საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული კრიზისის შედეგები, კიდევ უფრო მძლავრ კრიზისში აღმოჩნდა, რაც ძალზე უარყოფითად აისახა მთელ ეკონომიკასა და განსაკუთრებით მის მრეწველობაზე და რომ არ ყოფილიყო დიდი მოცულობის უცხოური დახმარება, მდგომარეობა უარესი იქნებოდა. თუ საქართველომ მოკლე დროში ვერ შეძლო კრიზისის უარყოფითი შედეგების დაძლევა, კერძოდ, ახალ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საფუძველზე დაფუძნებული გადამამუშავებელი მრეწველობის სრული ციკლით ამოქმედება, ის ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება განვითარებადი ქვეყნის სტატუსით და, შესაძლოა, მას თავი ვერც ვერასდროს დააღწიოს. მეტად საყურადღებოა მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის პრობლემაც, რომელიც ღია ეკონომიკისა და გაღრმავებული გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო ანგარიშგასაწევი ხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მრეწველობის კრიზისამდელი დეფორმირებული სტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მიუღებელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში მომუშავე ქვეყნისათვის. ჩვენ გვჭირდება სრულიად ახალ ტექნოლოგიურ წყობაზე გადასვლა, რადგანაც ცნობილია, რომ ცივილიზაციების განვითარება სწორედ ტექნოლოგიური წყობის განვითარებით არის განპირობებული. იმისი აღნიშვნაც აუცილებელია, რომ ბევრი ეკონომისტი, თანამედროვე მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს განიხილავს, როგორც უმეტესი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკების რეაქციას ტექნოლოგიებისა და მასთან შეუღლებული ინსტიტუციურ-ეკონომიკური წყობის მოძველებულობაზე, რაც აუცილებელს ხდის გადაიხედოს ინსტიტუციურ- ეკონომიკური მახასიათებლები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპექტების მიხედვით.

---

[7] ნ. არევაძე, საქართველოს მრეწველობა და მისი განვითარების პერსპექტივები/ თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2011. IV. გვ.70

საქართველოში ახლა არსებობს უნიკალური შანსი, შემუშავდეს და რეალიზდეს ქვეყნის ინტიტუციურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური პროგრამა, რომელიც შესაძლებელს გახდის ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის თანდათანობით, თუმცა საკმაოდ ენერგიულ გადასვლას თანამედროვე ტექნოლოგიურ წყობაზე (დასაქმების აუცილებელი ზრდისა და მისი სტრუქტურის რაციონალიზაციის გათვალისწინებით), რითაც დაძლეული იქნება ეკონომიკის პოსტსაბჭოური დაცემისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ქვეყნის ეკონომიკაზე ზემოქმედების ყველა უარყოფითი შედეგი. ყველაფერ ამას საფუძვლად უნდა დაედოს სწორად და მიზანმიმართულად ჩამოყალიბებული და რეალიზებული სამრეწველო პოლიტიკა (დღევანდელი ტერმინოლოგიით, სტრუქტურული პოლიტიკა), რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური, პოლიტიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსს, ზემოქმედებს ეროვნული ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა დონეზე და უზრუნველყოფს მრეწველობის საბაზრო ორგანიზაციის სრულყოფას (დარგობრივი სტრუქტურა, წარმოების განლაგება, ინვესტიციური აქტიურობისა და სამრეწველო საქმიანობის რეგულირება და სტიმულირება, სამრეწველო ჯგუფების ფორმირება, საშუალო და მცირე ბიზნესის წახალისება); ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია დარგებში კონკურენციის ოპტიმალური რეჟიმის დაცვა; ეროვნული ეკონომიკის საექპორტო პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის სტიმულირება; მრეწველობის განვითარების საბაზრო და სახელმწიფო კოორდინაციის ურთიერთშეხამება.

ქვეყნის მრეწველობის განვითარების შემდგომი ბედი პრაქტიკულად ჯერაც არ არის განსაზღვრული, არადა, თუ ჩვენ გვინდა ავმაღლდეთ განვითარებული ქვეყნის დონემდე, აუცილებლად უნდა გავიაროთ ინდუსტრიული განვითარების ეტაპი. სხვაგვარ გზას მსოფლიო არ იცნობს. მრეწველობის გადამამუშავებელი დარგებიდან აუცილებელი და უპირატესი, ჩვენი აზრით, არის ელექტროენერგეტიკის განვითარება, რისთვისაც საქართველოში ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა. ამის დასტურად ისიც საკმარისია, რომ ქვეყანა ელექტროენერგიის იმპორტიორიდან მისი ექსპორტიორი გახდა და ახლა, თითქმის ერთდროულად, კიდევ რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას აწარმოებს, რითაც საფუძველი ეყრება მრეწველობის გადამამუშავებელი დარგების განვითარების შესაძლებლობების გაფართოებას.

მრეწველობის სხვა დარგებიდან, ჩვენი აზრით, საჭირო იქნება მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების იმ ქვედარგების უპირატესი განვითარება, რომელსაც შეუძლია ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე პრიორიტეტული დარგების ტექნიკური აღჭურვისათვის საჭირო წარმოების საშუალებების გამოშვების უზრუნველყოფა. ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მანქანათმშენებლობას, განსაკუთრებით ეს ეხება

ელექტრონულ მრეწველობას, აქვს კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობა, ასევე, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მიღწეული პოტენციალის გაძლიერების შედეგად, შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და სამთო მიწათმოქმედების საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია, მემცენარეობისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაცია. ასევე აუცილებლია მეცნიერებატევადი დარგების განვითარებისათვის ხელშეწყობა. ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის ქვედარგებიდან უპირატესობა ძირითადი ქიმიისა და სამთოქიმიური მრეწველობის იმ ქვედარგებს უნდა მიენიჭოს, რომლის ნედლეული, კადრები და ნაწილობრივ საწარმოო სიმძლავრეები ქვეყანას ჯერ კიდევ გააჩნია. ასევე, მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ სამთო ქიმიის საქართველოს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში არსებითად შეიცვალა, თუ XX საუკუნის 90-იან წლებამდე მასში უპირატესი იყო კვების მრეწველობა (36,9%), მსუბუქი მრეწველობა (22,0%), მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება (15,1%), სამშენებლო მასალების მრეწველობა (5,3%) და სხვა, 2009 წელს საკვები პროდუქტების წარმოებაზე, სასმელების ჩათვლით 29,2% მოდიოდა, მსუბუქ მრეწველობაზე მხოლოდ 1,2%, ლითონის მზა ნაწარმის წარმოებაზე 1,8%, მ.შ. მანქანებისა და მოწყობილობის წარმოებაზე 0,7%. მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტროენერგიის წარმოება 2,0%-დან თითქმის 17%-მდე, ანუ 8-ჯერ და შავი მეტალურგია 3,5%-დან 11,7%-მდე, ანუ 3-ჯერზე მეტად, ყველა სხვა დარგის მიხედვით მდგომარეობა გაუარესებულია.[8] მრეწველობის განვითარებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ნედლეულის მნიშვნელოვანი მარაგებია. კერძოდ: ანდეზიტი, ბარიტი, კალციტი, ბენტონიტური თიხები, დარიშხანი, ცეოლიტი, დიატომიტი, პერლიტი, ტალკი, ბუნებრივი საღებავები, შპატები და მრავალი სხვა, რომლის საფუძველზე წარმოებულ პროდუქციაზე მსოფლიოში გაზრდილი მოთხოვნაა დაფიქსირებული[9]. მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს ადგილობრივი ნედლეულის ქვეყნიდან გატანა დაუმუშავებელი სახით. დამოუკიდებელი საქართველო არ უნდა გადაიქცეს კოლონიური ტიპის სანედლეულო ბაზად, როგორც ეს ადრე იყო, როცა მხედველობაში მხოლოდ ცენტრის ინტერესები მიიღებოდა. ადამუშავების გარეშე დასაშვებია მხოლოდ რეკრეაციული ნედლეულის გატანა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ფასები ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება. სასურველად უნდა ჩაითვალოს ნავთობ-ქიმიური მრეწველობის იმ ქვედარგების განვითარებაც, რომლის საფუძველზე მომავალში მაინც შესაძლებელი გახდება ადგილობრივი ნედლეულის

[8] ნ. არევაძე, საქართველოს მრეწველობა და მისი განვითარების პერსპექტივები/ თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2011. IV. გვ.72
[9] იქვე,. გვ.74-75

საფუძველზე სრული სამრეწველო ციკლის ამოქმედება.

საქართველოსათვის ფრიად მნიშვნელოვანია შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოების ფუნქციონირების უზრუნველყოფა. რამდენადაც როგორც კავკასიის, ისე სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმდებარე რეგიონებში აღნიშნული სახის პროდუქციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდ საქართველოს შეუძლია. ამდენად, მეტალურგიული მრეწველობა უნდა მივიჩნიოთ პრიორიტეტულ დარგად უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ეფექტიანად გამოყენების საქმეში. მსუბუქი მრეწველობის განვითარების პერსპექტივები ქვეყანაში, ჩვენი აზრით, შედარებით ნაკლებია, რამდენადაც პრობლემატურია როგორც ნედლეული (ბამბა), ისე პროდუქციის გასაღება კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. გამონაკლისი შეიძლება იყოს ნატურალური აბრეშუმის წარმოების აღდგენის წახალისება, რომელზეც მოთხოვნა, სავარაუდოდ, არასოდეს შემცირდება, თუთის ხეების ინტენსიური გაშენების პარალელურად და სამკერვალო წარმოება, თუნდაც შემოტანილი ნედლეულის საფუძველზე.

გასათვალისწინებელია, რომ დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შენობების ჩათვლით, მთლიანად განადგურებული, დატაცებული და ჯართად არის გაყიდული. მრეწველობის დარგებიდან, ქვეყანაში ყველაზე უკეთესი პერსპექტივები კვების მრეწველობას გააჩნია, როგორც ნედლეულის მრავალფეროვანი ასორტიმენტის, ისე ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით, რომელიც ახლა მსოფლიოში, კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი კრიტერიუმი გახდა და რომლის მიხედვითაც საქართველოს კვების მრეწველობის პროდუქციის უპირატესობა სრულიად აშკარაა. გასათვალისწინებელია მინერალურ და სასმელ წყლებზე მსოფლიო მოთხოვნილების ნაწილის დაკმაყოფილების რეალური შესაძლებლობაც, თუმცა მხოლოდ ჩამოსხმული სახით. საშენი მასალების მრეწველობიდან, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება ადგილობრივ ნედლეულზე დაფუძნებული და ძირითადად ადგილობრივი მოხმარებისათვის განკუთვნილი ისეთი ქვედარგების განვითარება, რომლებიც აწარმოებენ ცემენტს, აგურს, ბლოკს, საკედლე და მოსაპირკეთებელ მასალებს და ა.შ. ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში რამდენადმე შეზღუდულია სანედლეულო რესურსების სიმცირის გამო. საბჭოთა ხელისუფლების დროს, ქვეყანაში ხე-ტყის ნედლეულის 90%-მდე და 600-ზე მეტი დასახელების დამხმარე მასალა რუსეთიდან შემოდიოდა. საქართველოში არსებული ტყის მასივების ძირითადი დანიშნულება კი ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი და საკურორტო ფუნქცია იყო. უკანასკნელ პერიოდამდე ტყის მასივები უკონტროლოდ ნადგურდებოდა და საზღვარგარეთ მორებად იყიდებოდა. ახლა მდგომარეობა, შესაძლოა, დამძიმდა კიდეც, რამდენადაც ტყის მასივები

უკვე ბითუმად, ასეულ ჰექტრობით უცხოელებზე იყიდება ან იჯარით გაიცემა, რაც მისი სრული განადგურების ტოლფასია, რომლის დაშვებაც უკვე აღარ შეიძლება, თუ ჩვენ ვაპირებთ თუნდაც განვითარებული ტურიზმის ქვეყნად გადაქცევას. სასურველია ყურადღების გამახვილება ტრადიციული შინამრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარებაზეც, რომელზეც მსოფლიოში საკმაოდ დიდი მოთხოვნაა და რომელსაც შეუძლია ადგილობრივი მოსახლეობის (განსაკუთრებით მთიან რეგიონებში) დასაქმებისათვის ხელის შეწყობა ისეთი პროდუქციის წარმოებით, როგორიცაა ხელით ნაქსოვი ხალიჩები, ფარდაგები, ნოხები, კერამიკული და მრავალი სხვა ნაწარმი. რა თქმა უნდა, იმ დარგების ზუსტი განსაზღვრა და ჩამოთვლა, ყველა იმ მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინება, რაც მრეწველობის სამომავლო სტრუქტურისათვის შეიძლება იყოს დამახასიათებელი, შეუძლებელ საქმედ გვესახება, რამდენადაც ახლა მსოფლიოში, მისი ცალკეული ქვეყნების ეკონომიკების დარგობრივ სტრუქტურებში უამრავი ცვლილება ძალზე სწრაფი ტემპით ხდება, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენითა და შედეგად. რის საფუძველზეც იქმნება, როგორც პროდუქციის სრულიად ახალი სახეები ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე, ისე ახალი, სისტემაწარმომქმნელი დარგები და საწარმოები და ხდება მათი შემდგომი დივერსიფიკაცია. ამიტომ მომავალში შეიძლება ისეთი ახალი დარგებისა და ნანო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოებების განვითარება გახდეს საჭირო, რომელზეც ახლა არაფერი ვიცით. დღეისათვის კი, ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიებისა და წარმოებების შესაქმნელად და ამისათვის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ჩასატარებლად საჭიროდ და აუცილებლად მიგვაჩნია ადგილობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პერსონალისათვის განსაკუთრებული ხელის შეწყობა, საჭიროებისა და აუცილებლობის შემთხვევაში კი საზღვარგარეთიდან მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა, ტრანსეროვნულ კორპორაციებთან, ჩვენი ინტერესების გათვალისწინებით, თანამშრომლობის გზების მოძიების საფუძველზე.

თუ თითოეული ქვეკომპონენტის დინამიკას დავაკვირდებით, დავინახავთ საკმაოდ დიდ სხვაობას საკვები, სასმელი და თამბაქოს წარმოებისა და ყველა სხვა სექტორს შორის. მათი ზრდის ტემპი ნომინალურ გამოსახულებაში 2005- 2007 წლებში ასეთი იყო: სხვა არალითონისშემცველი მინერალური პროდუქტები _171%, რეზინი და პლასტმასი _ 94%, პირველადი და წარმოებული ლითონის პროდუქტები _ 84%, ქიმიური პროდუქტები _ 61%, ქაღალდის წარმოება და ბეჭდვითი პროდუქცია _ 61%, სატრანსპორტო აღჭურვილობა _ 59%, საკვები, სასმელი და თამბაქოს პროდუქცია _ 20%.[10]

[10] საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის მონიტორინგი სიღარიბის დაძლევის კონტექსტში

თუ გავითვალისწინებთ საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდის შედარებით მაღალ ტემპს, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ინდუსტრიის ეს სექტორი პრაქტიკულად არ გაზრდილა ან ოდნავი კლებაც კი განიცადა, მიუხედავად იმისა, რომ საკვები პროდუქტების ადგილობრივი მოხმარება საკმაოდ ინტენსიურია. განსაკუთრებით, ისეთ პროდუქტებთან მიმართებაში, როგორიცაა რძის ნაწარმი, ხილი და ბოსტნეული. საკვები პროდუქციის სექტორის ნაკლები განვითარება სერიოზული შეშფოთების საგანია. ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას ქართული ღვინისა და მინერალური წყლის ექსპორტზე რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს გავლენით. სამწუხაროდ, ეს უფრო საქართველოს სოფლის მეურნეობის ღრმა სტრუქტურულ კრიზისზე მიუთითებს, რომლის დასაძლევად ხელისუფლებას ჯერჯერობით რაიმე დამაჯერებელი კომპლექსური ეკონომიკური პოლიტიკა არ წარმოუდგენია. საქართველოს სოფლის მეურნეობა, რომელზეც მთლიანი დასაქმების 55,6% მოდის, წარმოების მოცულობისა და მწარმოებლურობის დონის მხრივ ისეთ ნიშნულებზე „გაიყინა“, რომლებიც საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკული ქვეყნების დონეებს თუ შეესაბამება (მაგალითად, ერთ ძროხაზე რძის წლიური წარმოება, გაეროს-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემების მიხედვით, მხოლოდ 937 კგ-ს შეადგენს მაშინ, როდესაც სომხეთში შესაბამისი მაჩვენებელი 1965 კგ, ხოლო რუსეთში _ 3221 კგ-ია). მზარდი ადგილობრივი მოთხოვნის მიუხედავად, 2007 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია 1989 წლის დონეს მხოლოდ 8%-ით აღემატება, მაშინ, როდესაც სამრეწველო პროდუქციის ზრდამ იმავე პერიოდში 85% შეადგინა. კვების მრეწველობის უმთავრესი პრობლემა საქართველოში პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების არსებობაა. აგრარული პროდუქციის გადამამუშავებელმა ყველა წამყვანმა კომპანიამ, ნედლეული ან უცხოეთიდან უნდა შემოიტანოს ან ადგილზე საკუთარი სანედლეულე ბაზის შექმნაში უნდა მოახდინოს ინვესტირება, რაც იმ ფინანსური და მენეჯერული რესურსების სხვა მიმართულებით წარმართვას იწვევს, რომლებსაც კომპანიები უკეთ გამოიყენებდნენ ძირითად ბიზნესში.

2000-2010 წლებში ქვეყანაში წარმოიქმნა კვების პროდუქტების მწარმოებელი რამდენიმე კომპანია, რომელთა შორის შეიძლება დასახელდეს “სანტე”, “ეკოფუდი”, “სოფლის ნობათი” _ აწარმოებენ ძირითადად რძის პროდუქტებს; “ნიკორა”, “შინჰოფერი”, “ზეიკიძე” _ ძეხვეულისა და ხორცის პროდუქტებს. “სასკო”, “კულა”, “ჩემი ბებო” და სხვები _ წვენებს, ჯემებს, მურაბებს, საწებლებს და ა.შ. ამის მიუხედავად, საქართველოს კვების მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციით მოსახლეობის მოთხოვნილების დაახლოებით მესამედის დაკმაყოფილება თუ ხდება, დანარჩენი იმპორტით იფარება. იმპორტის ძირითადი სახეებია:

---

http://eprc.ge/uploads_script/publication/%E1%83%A1%E1%20-gamoc.pdf გვ. 21

ხორბალი და სხვა მარცვლეული, ხორცი და ხორცის პროდუქტები, შაქარი, თევზი, რძე და რძის პროდუქტები, ბოსტნეული, ხილი და მრავალი სხვა. პარადოქსია, რომ საქართველოში, ტრადიციულად ხილისა და ბოსტნეულის მწარმოებელ ქვეყანაში, შედარებით დაბალი ხარისხისა და ეკოლოგიურად დაბინძურებული ხილისა და ბოსტნეულის შემოტანა მეზობელი ქვეყნებიდან ხორციელდება, რომელზეც ყოველწლიურად ათეულობით მილიონი დოლარი იხარჯება. სტატისტიკური მონაცემების ანალიზით დასტურდება, რომ ქვეყანაში იმპორტირებული სურსათის ხვედრითი წონა მთლიან მოხმარებაში 37-47%-ია, მაშინ, როცა, ჩვეულებრივ, განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 20%-ია და ძირითადად ცალკეული დელიკატესებისაგან შედგება[11]. 1990-2013 წლებში კვების მრეწველობის პროდუქტების წარმოება საქართველოში, ღირებულებითი მაჩვენებლების მიხედვითაც კი მნიშვნელოვნად შემცირდა _ 508 მლნ ლარიდან 2670 მლნ ლარამდე, ანუ 40,8 პროცენტული პუნქტით, ინფლაციის გათვალისწინების გარეშე. მაშინ, როცა, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, მარტო 2000-2010 წლებში სამრეწველო პროდუქციის ფასების საშუალო წლიურმა ინდექსმა 182,9% შეადგინა[12], რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს კვების მრეწველობის სანედლეულო ბაზის _ სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის წარმოების მოცულობის ნატურალური მაჩვენებლების შედარების დროს ისეთი პროდუქციის მიხედვით, როგორიცაა ჩაი, თამბაქო, ყურძენი, ხორცი და ა.შ. როცა შემცირების მაჩვენებელი პროცენტებით კი არა, არამედ ჯერადობით გამოიხატება. საქართველოს მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში წარმოებული პროდუქციის ღირებულების მიხედვით, კვების მრეწველობა ყოველთვის პრიორიტეტული იყო და პირველ პოზიციაზე იმყოფებოდა, რაც განპირობებულია ქვეყანაში სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის წარმოებისათვის მეტად ხელსაყრელი, მრავალფეროვანი ნიადაგობრივი და ბუნებრივი პირობებითა და ეკოლოგიური სისუფთავით, რომელიც ახლა მსოფლიოში პროდუქციის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი სულ უფრო მნიშვნელოვანი და აუცილებელი გასათვალისწინებელი კრიტერიუმი გახდა. ამ მხრივ საქართველოში წარმოებული სოფლისმეურნეობრივი და კვების მრეწველობის პროდუქცია მარტლაც რომ უკონკურენტოა, რასაც გამოყენება სჭირდება. ამდენად, საქართველოს სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობას,

[11]ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია. საქართველოს სოციალურეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბ., გამომცემლობა "ნეკერი", 2011, გვ. 243-247.

[12] დ. ჩომახიძე, სამრეწველო პოლიტიკის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები, ციტირებულია საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის კრებულიდან, ტ. 11, გამომცემლობა "სიახლე", თბ., 2013, გვ. 425.

თუ ის სათანადოდ იქნება კაპიტალიზებული, შეუძლია დღევანდელი გლობალიზებული მსოფლიოს უზარმაზარი ბაზარისათვის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების _ ხორცის, რძის ნაწარმის, ბოსტნეულის, ხილის და უამრავი სხვა პროდუქტის შეთავაზება, ტრადიციულ, უნიკალურ ალკოჰოლურ და უალკოჰოლო სასმელებთან, მტკნარ და მინერალურ წყლებთან ერთად, ყველაფერი ეს კი საქართველოს ეკონომიკას რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის დამატებითი ღირებულების შექმნის შესაძლებლობით გაამდიდრებს. იმის გათვალისწინებაც საჭიროა, რომ, ჩვეულებრივ, განვითარებად ქვეყნების საქართველოს ახლა სწორედ ეს სტატუსი გააჩნია) უმეტესობა ინდუსტრიულ განვითარებას სწორედ მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებით იწყებს. რამდენადაც ეს დარგები, როგორც ცნობილია, შედარებით მცირე კაპიტალდაბანდებებს საჭიროებს, უკუგებას კი სწრაფად იძლევა. საქართველო ახლა, შესაძლოა, ფინანსურ რესურსებზე არა ნაკლებ, დროის დეფიციტს განიცდის იმ დაკარგული წლების გამო, როცა ქვეყანაში უფრო მეტი სამრეწველო საწარმო განადგურდა, ვიდრე აშენდა. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ განვითარებად ქვეყნების გამოცდილებაც და ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომებიც. თუ ეს ვერ შევძელით და ქვეყანა ინდუსტრიულ საფუძველზე ვერ გადავიყვანეთ, ჯერ კიდევ დიდხანს დავრჩებით განვითარებადი ქვეყნის სტატუსით და შესაძლოა მას თავი ვერც ვერასდროს დავაღწიოთ. ამისათვის, განსაკუთრებით კვების მრეწველობის განვითარებისათვის, მას თითქმის ყველა პირობა გააჩნია: ბუნებრივ-კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობები, სანედლეულო ბაზების აღდგენისა და განვითარების შესაძლებლობა, შემორჩენილი კადრები და ტრადიციები. ჯერ კიდევ 30 წლით ადრე, დღევანდელისაგან განსხვავებით, საქართველოში ნახევარი მილიონი ტონა ჩაი იკრიფებოდა, ყოფილი საბჭოთა კავშირი თითქმის სრულად ქართული ჩაით კმაყოფილდებოდა. როგორც ვხედავთ, საქართველოში მრეწველობის დარგებიდან განვითარების ყველაზე უკეთესი შანსები, შესაძლებლობები და პერსპექტივები სწორედ კვების მრეწველობას გააჩნია.

1.2. საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ეტაპები

დამოუკიდებლობის მოპოვებამდე საქართველოს ეკონომიკა საბჭოთა კავშირში იყო ინტეგრირებული და საგარეო ვაჭრობის ძირითადად წევრ ქვეყნებთან ახორციელებდა. საქართველოს ექსპორტის 96% და იმპორტის 72% ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე მოდიოდა. საქართველოს საექსპორტო საქმიანობა წარმატებული იყო საბჭოთა პერიოდში, ჩვენს ქვეყანას ჰქონდა დადებითი საგარეო სავაჭრო ბალანსი, რადგან საბჭოთა კავშირის შიდა ბაზარზე ნედლეულისა და ენერგომატარებლების შიდა ფასები მსოფლიო ფასებთან შედარებით დაბალი

იყო, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ფასები კი აღემატებოდა შესაბამის მსოფლიო ფასებს.

ამდენად, საქართველოს საწარმოები იაფად ამზადებდნენ ისეთ პროდუქციას, რომელიც შემდეგ სარფიანად იყიდებოდა სსრკ-ის ბაზარზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს წარმოება ორიენტირებული იყო სწორედ ამ ბაზარზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში კავშირის მასშტაბით პროდუქციის გატანას არ შეიძლება ვუწოდოთ საექსპორტო საქმიანობა თანამედროვე გაგებით, რადგან პროდუქციის გასაღება ე.წ. გეგმიური ეკონომიკის წესების მიხედვით ხორციელდებოდა. ამასთან, საბჭოთა კავშირის გარეთ გატანილი საქონელის რესპუბლიკის წილი საერთოდ არ ფიქსირდებოდა, მხოლოდ 90- იანი წლების მიწურულს გახდა შესაძლებელი საქართველოს ექსპორტის განსაზღვრა. არსებული სამეურნეო კავშირების მოშლის, წარმოების დაცემას ყოფილ სსრკის და თვით საქართველოს შიგნით არ შეიძლება არ გამოეწვია საგარეო სავაჭრო ბრუნვის შემცირება და სტრუქტურული ცვლილებები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოშობილი დამოუკიდებელი სახელმწიფო-ებისათვის, მათ შორის საქართველოსთვის აუცილებელი გახდა ძირეული ეკონომიკური რეფორმების გატარება, ასევე საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება მეზობელ (რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი), განვითარებულ და საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, ქვეყნის ეროვნული და სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები მაქსიმალურად უნდა იქნას დაცული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა ძირითადად განვითარებული ქვეყნების მიერ მისით დაინტერესება. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეჭვს არ იწვევს, რომ საქართველო და მთლიანად სამხრეთ კავკასიის ქვეყნები აშშ-ის, გერმანიის, იაპონიის, ჩინეთის, რუსეთის და სხვა ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და სავაჭრო ინტერესების სფეროშია.

ბუნებრივია, თავისუფალი, დემოკრატიული, ერთიანი და ძლიერი საქართველო უფრო დიდ დახმარებას გაუწევს საერთაშორისო თანამეგობრობას, რათა გამოიყენონ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და რესურსები. საქართველოს საკმაოდ ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა გააჩნია. ქვეყნის კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული ვაჭრობაში რაოდენობრივი შეზღუდვები და სხვა არასატარიფო ბარიერები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისთვის.

2005 წლიდან ნებართვების რაოდენობა საიმპორტო და საექსპორტო პროდუქციით ვაჭრობასთან დაკავშირებით 14 ძირითადი ჯგუფიდან 8 ჯგუფამდე შემცირდა. მოქმედი არასატარიფო შეზღუდვები ეხება შემდეგი პროდუქციის იმპორტს:

• ფიტოსანიტარულ და ვეტერინალურ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია;

• დაკვირვების ელექტრონული საშუალებები;

• შეზღუდულად ბრუნვადი მასალები;

• იარაღი და საბრძოლო მასალები;

• ორმაგი დანიშნულების პროდუქცია;

• სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები;

• გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობები;

• არაიოდიზირებული მარილი;

2004-2005 წლებში საბაჟოს სტრუქტურული რეორგანიზაცია და მისი მუშაობის გამარტივებისა და გამჭირვალობის კუთხით:

• ამუშავდა ერთი სარკმლის პრინციპი;

• შემცირდა საბაჟო გაფორმებისთვის აუცილებელი რაოდენობა;

• შემცირდა სატრანსპორტო დოკუმენტების რაოდენობა, რომლებიც ადასტურებენ საქონლის გადაადგილების ფაქტს;

• ადმინისტრირების გაუმჯობესებით შემცირდა ჩრდოლოვანი სექტორი.

საქართველოს არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი, რაც მას ავალდებულებს, შეასრულოს ამ ორგანიზაციის მოთხოვნები.

ვმო-ს პოლიტიკა მიმართულია ვაჭრობის გლობალური ლიბერალიზა-ციისაკენ, მსოფლიოში თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის დამკვიდრებისაკენ. ამ მიზნით, ვმო ითხოვს ვაჭრობაში ადმინისტრაციული ბარიერების მინიმუმამდე დაყვანას, ექსპორტ-იმპორტის რეგულირების სისტემის გამოყენებას და მათ თანდათანობით შემცირებას. ამავე დროს, ვმო-ს წევრობა საქართველოს აძლევს მრავალ შესაძლებლობებს მსოფლიო ბაზარზე.

ვმო-ში გაწევრიანებით საქართველომ წევრ ქვეყნებთან მიმართებაში მიიღო ისეთი პროგრესული რეჟიმი, როგორიცაა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართული ექსპორტის ხელშეწყობის საქმეში. ვინაიდან, წევრობამდე ამ ქვეყნებთან გვქონდა ე.წ. ურეჟიმო სავაჭრო ურთიერთობა, რაც რეალურად მრავალ სავაჭრო ტარიფებს, საექსპორტო კვოტებს და სხვა შეფერხებებს ნიშნავდა. ასევე აღსანიშნავია ის, რომ შეიქმნა საფუძველი მსოფლიო სავაჭრო სისტემაში საქართველოს ინტეგრაციისთვის, ვმო-ს წევრ ქვეყნებზე საერთაშორისო ვაჭრობის 95% -ზე მეტი მოდის და ბუნებრივია, ჩვენს ქვეყანას სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილეობის მეტი შანსი ეძლევა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ინტენსიურობა ხელს შეუწყობს ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევას ქვეყანაში. ხორციელდება საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია საერთაშორისო ნორმებთან, რამაც მნიშვნელოვნად

შეუწყო ხელს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა გაფართოებას, ქვეყნის სატრანსპორტო პოტენციალის სრულფასოვან გამოყენებას და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას.

საქართველოს სხვადასხვა ქვეყნებთან განსხვავებული სავაჭრო რეჟიმების აქვს: საბაზრო ვაჭრობის რეჟიმი – მოქმედებს იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც არ აქვს ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების ბაზარზე მოქმედი განსხვავებული სავაჭრო რეჟიმი.

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი MNF (Most Favorite Nations)[13] – მოქმედებს ვმოს წევრ ქვეყნებთან. აღნიშნული რეჟიმი ითვალისწინებს ვმო-ს წევრი ქვეყნებისათვის განსხვავებულ დაბალ საბაჟო ტარიფებს. ეს არის არადისკრიმინაციული ვაჭრობის პრინციპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი. საქართველო, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით 153 ქვეყანასთან.

დიდი როლი ენიჭება GSP შეღავათიან რეჟიმს. GSP შეღავათიანი რეჟიმი არის რა განვითარებადი ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის, საერთაშორისო ვაჭრობაში შემოსავლების მიღების და სიღარიბის დაძლევუს ერთ-ერთი საშუალება, ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შემუშავდეს GSP- ს სამუშაო სქემა 2006-2015 წლებისათვის და გასული წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით გააუმჯობესოს ეს სისტემა ზოგიერთი მიმართულებით, კერძოდ: - გაამარტივოს სისტემა ანუ დამატებითი წამახალისებელი პრეფერენციების დღეისათვის არსებული ხუთი მიმართულება შემცირდეს სამამდე, ესენია[14]:

1)ზოგადი წახალისების სქემა,

2)“Everything but arms” წახალისების სქემა, რომლის საშუალებითაც მსოფლიოს 50 უღარიბეს ქვეყანას ეკ-ის ბაზარზე ყოველგვარი ტარიფებისა და ქვოთების გარეშე შეუძლია საქონლის ექსპორტირება,

3)“GSP+” სქემა, რომელიც მიანიჭებს პრეფერენციას ქვეყნებს, რომელებსაც სხვებზე მეტად სჭირდებათ ისინი განვითარებისათვის;

- GSP- ის გამონაკლისები ვრცელდება მხოლოდ იმ საქონელზე, რომლებიც ეკის ბაზარზე არიან მეტად კონკურენტუნარიანი და წარმოშობილი არიან იმ ქვეყნებში, რომლებიც არიან მაღალკონკურენტუნარიანი და არ საჭიროებენ წახალისებას;

- წარმოშობის წესების გაუმჯობესება და შესწორება იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს რეგიონალურ თანამშრომლობას. თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი (FTA) – საქონლის,

---

[13] ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო. თბ. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი 2014 გვ.7

[14]საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12

მომსახურების, კაპიტალისა და მუშახელის შეუზღუდავი გადაადგილება ნულოვანი საბაჟო ტარიფებით.

1994 წლიდან მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი დსთ-ს ქვეყნებთან, რაც ითვალისწინებს დამოუკიდებელ თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ურთიერთვაჭრობაში საქონლისა და მომსახურების გათავისუფლებას საბაჟო საიმპორტო გადასახადებისგან. საქართველოსა და თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება – 2008 წლის 1 ნოემბრიდან შევიდა ძალაში. შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან სრულიად გაუქმდა სამრეწველო პროდუქციის იმპორტზე დაწესებული საბაჟო ტარიფები.

გარკვეული გამონაკლისები არის სასოფლოსამეურნეო პროდუქციაზე. ასევე საქართველოდან თურქეთში იმპორტზე საბაჟო გადასახადები შენარჩუნებულია გარკვეული სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, თუმცა ზოგიერთი სახის საქონელი ექვემდებარება შეღავათებს კვოტების სახით, რომელთა განაწილებაზე პასუხისმგებელია თურქეთის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის გენერალური სამდივნო. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ცალკეულ სახელმწიფოებთან და რეგიონალურ გაერთიანებებთან ურთიერთობის დამყარებისა და ამ ურთიერთობების გაფართოების და გაღრმავების საკითხი.

მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრირების პროცესი ატარებს ინტენსიურ ხასიათს, რაც საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტრატეგიული კურსის თანმიმდევრული განხორციელებით არის განპირობებული. წლითიწლობით მატულობს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, ფართოვდება ვაჭრობის გეოგრაფია და იზრდება უცხოური ინვესტიციების მასშტაბები.

ქვეყანამ პრაქტიკულად დაიბრუნა თავისი ისტორიული გეოპოლიტიკური ფუნქცია და გახდა ევრაზიის სახელმწიფოთა სტრატეგიული ეკონომიკური პარტნიორი. დამახასიათებელია, რომ ექსპორტსა და იმპორტს შორის არ არსებობს საკმაო სტრუქტურული ურთიერთკავშირი, ამის ობიექტური მიზეზებია: ეკონომიკის მემკვიდრეობით მიღებული არარაციონალური დარგობრივი სტრუქტურა, საწარმოო პოტენციალის გამოყენების დაბალი დონე, პროდუქციის დაბალი კონკურენტ-უნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის შიდა პრობლემები, საფინანსო კრიზისი რუსეთში 1998 წლის II ნახევარში და მისი ნეგატიური გავლენა ჩვენი ეკონომიკის დარგთა პროდუქციის ზრდის ტემპზე და უკანასკნელ წლებში რუსეთის მიერ ქართული საექსპორტო პროდუქციაზე ემბარგოს დაწესების მიუხედავად, საგარეო ვაჭრობის პირველადი მონაცემებით, საქართველოს ექსპორტი საანალიზო პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 23%-ით გაიზარდა. რუსეთმა კი ქვეყნების ექსპორტის სტრუქტურაში პირველი ადგილიდან მეათეზე გადაინაცვლა, ბოლო პერიოდში

განხორციელებულმა პოლიტიკურმა და მაკროეკონომიკურმა რეფორმებმა აგრარული სექტორის რეაბილიტაციის ხელშემწყობი მიკრო გარემო შექმნა და განაპირობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თვისებრივად ახალი თანამშრომლობის ფორმირება, რის შედეგადაც სასურსათო ჰუმანიტარული დახმარების გაწევის კურსიდან აქცენტი ადგილობრივი წარმოების ზრდის ხელშეწყობის კურსზე იქნა გადატანილი.

საქართველო აფართოებს და განამტკიცებს ახალ სავაჭრო პარტნიორულ ურთიერთობებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან. პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური მახასიათებლები სავსებით შეესაბამება ეკონომიკური ინტეგრაციის იმ აუცილებელ წინამძღვრებს, რომლებიც შემუშავებულია მსოფლიოს ეკონომიკური მეცნიერების მიერ. ესენია: ეროვნულ სამეურნეო კომპლექსთა გეოგრაფიული სიახლოვე, მათი ურთიერთშემავსებლობის ისტორიულად ჩამოყალიბებული მაღალი ხარისხი, ეკონომიკური განვითარების ერთიანი დონე, წარმოებით ურთიერთობათა ერთტიპიური ხასიათი.

როგორც აღვნიშნეთ საქართველოს მრავალ ქვეყანასთან გააჩნია შესაბამისი სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა, კერძოდ, დადებულია შეთანხმებები სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესახებ, ინვესტიციათა ურთიერთდაცვის და ურთიერთწახალისების შესახებ, საწარმოოკოოპერაციის შესახებ, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და სხვა.

მსოფლიო ბაზარზე პოზიციების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის აუცილებელია საწარმოებს გაეწიოთ დახმარება, რათამათ დაამყარონ პირდაპირი საწარმოო და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები თანამეგობრობის ქვეყნების საწარმოებთან, ვგულისხმობთ კომერციულ წინადადებათა ინფორმაციული ბანკის შექმნას, ხელშეკრულებების დადებას (მათ შორის სამინისტროების დონეზე) მსხვილ რეგიონებთან და უშუალო მომხმარებლებთან და ა.შ. ტრადიციული ეკონომიკური კავშირების თვისებრივად ახალ დონეზე განვითარებასთან ერთად გაგრძელდება ქვეყნის მსოფლიო საბაზრო მეურნეობაში ინტეგრირების კურსი.

საერთაშორისო მომსახურების სფეროში ჩართვა გულისხმობს საბანკო და საფინანსო მომსახურების განვითარებას, ინფორმაციისა და ინფორმაციული მომსახურების როლის ამაღლებას, სატელეკომუ-ნიკაციო და კომპიუტერული ქსელების, კავშირგაბმულობისა და ფოსტის დარგის განვითარებასა და სრულყოფას. საგარეო კავშირების განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ტურისტულ-საკურორტო მომსახურების სფერო. უახლოეს პერიოდში უნდა განხორციელდეს საგრძნობი ინვესტიციები ამ დარგის სავალუტო-საშემოსავლო პოტენციალის მაქსიმალურად ამოქმედებისათვის.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში ქვეყნის სასიცოცხლო სანედლეულო და სასურსათო მოთხოვნილებების პროგრამების დამუშავებასა და რეალიზაციასთან ერთად აუცილებელია

გაძლიერდეს ზრუნვა ეკონომიკის რეალურად განვითარებასა და მისი საექსპორტო პოტენციალის ამაღლებაზე.

მრეწველობა არ უნდა მივიჩნიოთ დაბალკონკურენტუნარიან დარგებად და მათ მიმართ უნდა გატარდეს სათანადო სარეაბილიტაციო, მასტიმულირებელი ზომები. უპირველეს ყოვლისა, არ უნდა გაგვიტაცოს ზედმეტად ლიბერალურმა სავაჭრო პოლიტიკამ. როგორც უკვე აღინიშნა, თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი მომგებიანია ძლიერი, ლიდერი ქვეყნისათვის. იგი ანგრევს განვითარებადი ქვეყნების სუსტ, მრეწველობისა და ახლად ფეხადგმულ დარგებს. ეს უკანასკნელნი აუცილებლად საჭიროებენ თავდაპირველი "სათბურის პირობების" შექმნას, აქტიური პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას სახელმწიფოს მხრიდან.

ღია ეკონომიკის ჩამოყალიბება არ უნდა გავაიგივოთ სახელმწიფოს საგარეო ეკონომიკური კავშირების უკონტროლობასთან, საზღვრების გამჭვირვალობასთან. პირიქით, ღია ეკონომიკა, მით უმეტეს მსოფლიო საბაზრო მეურნეობაში ინტეგრირების პროცესში, მოითხოვს სახელმწიფოს გონივრულ ჩარევას საგარეო ეკონომიკური კავშირების განხორციელების მექანიზმში. სტიქიურობა, აქ არათუ ხელს არ უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, არამედ, პირიქით, მნიშვნელოვნად უთხრის ძირს ეკონომიკურ უსაფრთხოებას. ეკონომიკის კომპლექსურად განვითარებისა და ეფექტიანი შიდა ბაზრის ჩამოყალიბების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა საგადასახადო-საბაჟო რეგულირებას ენიჭება. საბაჟო გადასახადისადმი მხოლოდ ფისკალური ფუნქციების დაკისრებამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყოს მისი ძირითადი ფუნქცია – საშინაო ბაზრის და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა ტექნიკური დახმარების პროექტებმა უნდა მოგვცეს ინდუსტრიის განვითარებისათვის სიცოცხლისუნარიანი გარემოს შექმნის საშუალება, რაც მოითხოვს შესაბამისი იურიდიული და საკანონმდებლო ბაზის ფორმირებას.

სავაჭრო პარტნიორების მრავალფეროვნება ნაკლებად მგრძნობიარეს ხდის ეროვნულ ეკონომიკას მსოფლიო ვაჭრობაში მიმდინარე რყევებისადმი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ეკონომიკის საერთაშორისო საქონელგაცვლაში მონაწილეობას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წარმოებისა და გაცვლის სფეროში არაკონკურენტული სტრუქტურის არსებობა, სახელმწიფოთა ჩარევა სხვადასხვა მიმართულებით მნიშვნელოვნად ზღუდავს და სახეს უცვლის თავისუფალი ვაჭრობის პირობებს.

ყოველი ქვეყანა სხვა ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების, განვითარებისა და რეგულირების მიზნით, აგრეთვე სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ახორციელებს გარკვეულ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს დასახული მიზნების შესაბამისი მეთოდებისა და შესაძლებლობების შემუშავებასა და გამოყენებას.

ექსპორტის ხელშეწყობის საკანონმდებლო ასპექტები.

უდავოა, რომ საქართველოს საკმაოდ ბევრი რამ აქვს გაკეთებული საკანონმდებლო თვალსაზრისით. კერძოდ ექსპორტი განთავისუფლებულია დღგ-ს გადასახადიდან, საქრთველო გაწევრიანდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, აქვს პრეფერენციები ვაჭრობაში ევროგაერთიანებასთან, აშშ-სთან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარიასთან, დადებულია ორმხრივი ხელშეკრულებები თავისუფალ ვაჭრობაზე დსთ-ს სივრცის ქვეყნებთან. ყოველივე ეს ქმნის ექსპორტის ხელშეწყობის ზოგად ფონს, თუმცა ამ შესაძლებლობების რეალიზაცია ცალკე საკითხია და ხშირად აწყდება ისეთ ბარიერებს, როგორიცაა პოლიტიკური პრობლემები სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან, სადაც მიუხედავად ყველა ხელშეკრულებებისა უბრალოდ ამოქმედდა ემბარგოს მექანიზმი ქართულ პროდუქციაზე. რუსეთის ბაზაარს (ზოგი ჭირი მარგებელია) ხაზგასმით აჩვენა საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის აუცილებლობა და ამდენად შესაძლებელია მხოლოდ მივესალმოთ საქართველოს ხელისუფლების მცდელობას გააქტიუროს ეკონომიკური კავშირები ევროკავშირთან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან[15]. აღსანიშნავია, რომ ამ ორ მიმართულებაზე ქართველ ექსპორტიორებს მოუწევთ სერიოზულად გაუმჯობესონ საექსპორტო პროდუქციის ხარისხი და მომხმარებელს შესთავაზონ ახალი (ქართველი ექსპორტიორებისათვის) პროდუქცია ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ექსპორტის გეოგრაფიის დივერსიფიკაცია ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაციაზე.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება.

საქართველოს მიერ ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების გატარების გზაზე გადამდგარ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს. მსო-ს წევრობა წარმოადგენს ღია საბაზრო ეკონომიკის ფორმირების აუცილებელ პირობას, რამაც უნდა შექმნას დადებითი ზოგადი ფონი შემდგომი ეკონომიკური აღმავლობისათვის. სწორედ ღია ეკონომიკური მოდელი განაპირობებს საინვესტიციო კლიმატის ფორმირებას. პრაქტიკულად, ეკონომიკური რეფორმების სფეროში მიღწეული არც ერთი წარმატება არ განხორციელდებოდა მსო-ს წევრობის გარეშე. ინვესტიციები, ქართული ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე წარმოადგენენ საექსპორტო პოტენციალის მედლის მეორე მხარეს. შიდა ბაზრის დაბალი მოცულობის გამო, ინვესტიციები რათა გაიზარდოს ადგილობრივი მოხმარება ნაკლებად ეფექტურია, ამდენად ინვესტირება ხდება იმ სფეროებში, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი საექსპორტო პოტენციალი. ტურიზმის სფეროში განხორციელებული ინვესტიციები მიმართულია უცხოელი ტურისტების

[15] გ., ღაღანიძე, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018 გვ.16

მოზიდვაზე. ეს წარმოადგენს ფარულ ექსპორტს, როდესაც ხდება არა პროდუქტის მიწოდება მყიდველზე, არამედ მყიდველის მიყვანა პროდუქტთან. სამრეწველო წარმოების სფეროში განხორციელებული ინვესტიციები, ასევე პირველ რიგში მიმართულია წარმოებული პროდუქციის ექსპორტზე და ამ შემთხვევაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა წარმოადგენს აუცილებელ პირობას ამ ინვესტიციების მოსაზიდად. რასაკვირველია მსო-ს წევრობა არ უზრუნველყოფს ინვესტიციების შემოდინებას ავტომატურ რეჟიმში, ინვესტიციები დამოკიდებულია ბევრ სხვა ფაქტორზეც, მაგრამ მსო-ს წევრობა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ამ მიმართულებით.[16]

ასევე არ შეიძლება არ შევეხოთ ქვეყნის კურსს შემდგომ ლიბერალიზაციაზე. ხშირად გაისმის კრიტიკა, რომ ხელაღებული ლიბერალიზაცია უარყოფითად მოქმედებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. ეს მოსაზრება აბსოლუტურად მოკლებულია საფუძველს და არ ითვალისწინებს მსოფლიო ეკონომიკურ რეალობას. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ობიექტური რეალობაა და ამდენად მისი არ გათვალისწინება მხოლოდ სავალალო შედეგებს მოუტანს ქვეყანას. გლობალიზაცია იძლევა რეალურ შესაძლებლობას მოხდეს ქვეყნის ინტეგრირება მსოფლიო ეკონომიკაში და ამდენად არ მოხდეს სხვის ხარჯზე საკუთარი პრობლემების გადაწყვეტა. მთავარია ქვეყანამ თვითონ მოძებნოს ადგილი გლობალურ ეკონომიკაში და ამ საფუძველზე მიიღოს მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტი. აქაც გავმეორდებით, თუ ვიტყვით, რომ გლობალიზაცია საქართველოს მსგავს სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას, ქმნის ზოგად ფონს, მაგრამ არ წყვეტს მათ პრობლემებს ავტომატურ რეჟიმში. ამდენად, ლიბერალიზაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები წარმოადგენს დადებით მოვლენას. თანამედროვე მსოფლიო ვაჭრობა წარმოადგენს ორმხრივი მოძრაობის მოდელს, სადაც იმპორტის ზრდა ექსპორტის ზრდის აუცილებელი წინაპირობაა. ლიბერალიზაცია ააქტიურებს ზოგადად ვაჭრობას, ხელს უწყობს მსხვილი სავაჭრო კომპანიების ჩამოყალიბებას.

ქართველი ექსპორტიორები გარკვეული აზრით სრულიად უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან, როდესაც თვითონ უწევთ საკუთარი პროდუქციის ექსპორტირება. პრაქტიკულად ყველა მაღალ განვითარებული ქვეყნის ექსპორტის ანალიზი ცალსახად გამოყოფს სავაჭრო კომპანიების უმნიშვნელოვანეს როლს ექსპორტში. პრაქტიკულად ექსპორტის 50% ან მეტი ხორციელდება სპეციალიზირებული ან ფართო პროფილის მქონე სავაჭრო კომპანიების მიერ. ეს თანამედროვე ეკონომიკის რეალობაა. ვინაიდან უშუალოდ ექსპორტზე ორიენტირებული სავაჭრო კომპანიების ჩამოყალიბება გარკვეული მიზიზების გამო არ განხორციელდა, ალბათ

[16] გ., ღაღანიძე, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018 გვ.17

სწორია ვივარაუდოთ, რომ ამ ფუნქციას ყველაზე უკეთ შეასრულებენ მსხვილი სავაჭრო იმპორტიორი კომპანიები. ამ ტიპის კომპანიებს გააჩნიათ საექსპორტო ბაზრების პროფესიული ცოდნა, უცხოელ პარტნიორებთან მუშაობის გამოცდილება. ასევე შესაძლებელია მსხვილ საიმპორტო სავაჭრო კომპანიებთან საექსპორტო ალიანსების ფორმირება. ეს ფორმა საკმაოდ გავრცელებულია დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. საექსპორტო ალიანსები, როგორც წესი იქმნება ძლიერი სავაჭრო კომპანიის გარშემო. ამ შემთხვევაში ახალი საექსპორტო ბაზრის მოძიების ან უკვე არსებულ საექსპორტო ბაზარზე ახალი პროდუქციის შეთავაზების ტექნიკურ მხარეს განახორციელებს სავაჭრო კომპანია. სწორედ სავაჭრო კომპანია ახდენს ბაზრის ანალიზს და განსაზღვრავს ახალ საბაზრო სეგმენტებს.

რასაკვირველია აუცილებელია სხვა ღონისძიებების კომპლექსური გამოყენება, რომლებზეც შემდგომ გვექნება საუბარი. საექსპორტო პროდუქციის ანალიზი და ახალი საექსპორტო პროდუქციის ხელშეწყობა საექსპორტო პროდუქციის ანალიზი აშკარად არ იძლევა სანუგეშო შედეგებს. ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს ექსპორტი პრაქტიკულად იგივე ათი ძირითადი საექსპორტო პროდუქტითაა წარმოდგენილი, როგორც იყო წინა პერიოდებში.

თავი II. საქართველოს თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკის ანალიზი

2.1 საქართველოს ექსპორტის დინამიკა და სტრუქტურული თავისებურებები 2000-2020 წლებში

მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ფონზე, ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების განვითარების სტრატეგიის არჩევისას, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი საგარეო სექტორის სწორი სტატისტიკური შეფასებებია. უდავოა, რომ ამ სფეროში მიმდინარე მოვლენების შესაფასებლად, ტენდენციების გამოვლენისა და სტატისტიკური კანონზომიერებების დასადგენად, აუცილებელია ობიექტური ინფორმაცია, რაც საგარეო სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური აღრიცხვის საერთაშორისო მეთოდოლოგიის სრულყოფილ ადაპტაციას უნდა ეფუძვნებოდეს.

დიაგრამა 1. საქართველოს ექსპორტის გეოგრაფიული მიმართულებები 2000-2015 წლებში (მლნ აშშ დოლარი)



საგარეო ვაჭრობის დღეს არსებული ინფორმაციული ბაზის ანალიზი მეტად საინტერესო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავების საფუძველს იძლევა, როგორც საერთოდ საგარეო ვაჭრობის, ისე მისი გეოგრაფიული სტრუქტურის ჭრილით. ფაქტია, რომ ექსპორტის

შემთხვევაში, საქართველოს ტვირთების საბოლოო დანიშნულების ობიექტი, პირველ რიგში, არის აზია, რომლის მიმართულებითაც ექსპორტის მოცულობამ 2015 წელს 1035.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ექსპორტის 47%-ია, შემდგომ კი ევროპაა, რომლის მიმართულებითაც იმავე წელს 933.4 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი განხორციელდა, რაც მთლიანი ექსპორტის 42.3%-ია. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2006 წლამდე საქართველოს ძირითად საექსპორტო მიმართულებას წარმოადგენდა ევროპა. 2006 წლიდან კი აზია (დიაგრამა 1). ამავდროულად, 2006 წლიდან გააქტიურდა ექსპორტი ამერიკის კონტინენტზეც და 2012 წელს 386,1 მლნ აშშ დოლარი და მთლიანი ექსპორტის 16.2 %[17] .

საიმპორტო ნაკადებს (დიაგრამა 2), 2010-2014 წლებში ის ძირითადად აზიიდან ხორციელდებოდა და მთლიანი იმპორტის საშუალოდ 49%-ს შეადგენდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2000-2009 წლებში ევროპიდან შემოსული იმპორტი ყველაზე მაღალი წილით გამოირჩეოდა დანარ- ჩენ კონტინენტებს შორის და მთლიანი იმპორტის საშუალოდ 48.4% შეადგინა. 2010-2014 წლებში კი

იგივე მაჩვენებელი 44.6% იყო. ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება დინამიკაში ამერიკის კონტინენტიდან იმპორტის მოცულობა, თუმცა, 2014 წელს, წინა წელთან შედარებით, საიმპორტო ნაკადები ამ მიმართულებით 8,5%-ით გაიზარდა და 450,4 მლნ აშშ დოლარი და მთლიანი იმპორტის 5,2% შეადგინა.[18]

დიაგრამა2. საქართველოს იმპორტის გეოგრაფიული მიმართულებები 2000-2015 წლებში (მლნ აშშ დოლარი)



[17] ო.აბესაძე, საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგგრაციის სტატისტიკური ანალიზი.. თბ.,2015. გვ.107

[18] იქვე,. გვ.108

2015 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა შემცირდა და 9931.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 13,3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. მათ შორის ექსპორტი შემცირდა 23,0 %-ით და 2203,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ასევე შემცირდა იმპორტი 10,1%-ით და 7728,0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. უარყოფითი იყო სავაჭრო ბალანსი (5524,4 მლნ აშშ დოლარი), რაც სავაჭრო ბრუნვის 55,6% გაუტოლდა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მიმართულებას, ჯერ კიდევ დსთ-ის წევრი ქვეყნები განსაზღვრავენ. განსაკუთრებით მაღალია მათი წილი საექსპორტო ნაკადებში, რომელიც 2000-2015 წლებში 36,2-დან 55,7%-მდე მერყეობს, მაშინ როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების წილი იმავე წლების განმავლობაში 29,3%-ზე მაღალი ნიშნულით არ დაფიქსირებულა. დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2015 წელს 2808.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (2014 წელთან შედარებით ის 21.8 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული). აქედან ექსპორტი 839,5 მლნ აშშ დოლარი, (2014 წელთან შედარებით 42,7 პროცენტული პუნქტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 1968,6 მლნ აშშ დოლარი (2014 წელთან შედარებით 7,3 პროცენტული პუნქტით ნაკლები) დაფიქსირდა. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის წილი 2015 წელს 28,3%-ით განისაზღვრა, მათ შორის ექსპორტში 38,1%და იმპორტში 25,5% (2014 წელს, შესაბამისად, 31,3%, 51,2% და 24,7%) დაფიქსირდა. 2015 წელს დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 20,4% (2014 წელს კი 11,5%).

დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტის მაღალი მაჩვენებლის პარალელურად გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები. 2015 წელს ექსპორტმა 646,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მართალია, ეს დსთ-ს მაჩვენებელზე 29,9%-ით დაბალია, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო 16- წლიანი პერიოდის განმავლობაში. რაც შეეხება საიმპორტო ნაკადებს, ქვეყნების ჯგუფების ჭრილით, ექსპორტისაგან განსხვავებული მდგომარეობაა. მხოლოდ 2015 წელს, ევროკავშირთან იმპორტმა 2518,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ეს მთლიანი იმპორტის 32,6%-ია და 27,9%-ით მეტია დსთ-ის მაჩვენებელზე (2015 წელს დსთ-ს იმპორტი 1968,6 მლნ დოლარი იყო და მთლიან იმპორტში 25,5 % შეადგინა) საინტერესოა სუამის ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა) მაჩვენებლების განხილვა. აღნიშნულ ჯგუფში საქართველოდან ექსპორტის საკმაოდ მაღალი წილი ფიქსირდება და 2012 წელს ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (33,9%) დაფიქსირდა ბოლო 16 წლის განმავლობაში. თუ 2012 წელს აღნიშნულ 3 ქვეყანაში იყო კონცენტრირებული საქართველოს ექსპორტის მესამედი ნაწილი, 2015 წლისათვის სუამის ქვეყნებზე მოდიოდა საქართველოს მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 13,9 %. რაც შეეხება

იმპორტს, იმქვე წელს სუამის ქვეყნებში განხორციელებული იმპორტის წილი მთლიან იმპორტის 13 %-ს შეადგენდა.[19]

როგორც კონტინენტების და ქვეყანათა ჯგუფების ანალიზიდან ჩანს, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითად ობიექტს ტერიტორიულად მეზობელი ქვეყნები წარმოადგენენ. მისი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები 2008 წლიდან დღემდე არიან თურქეთი (1966 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (1182 მლნ აშშ დოლარი) და რუსეთი (853 მლნ აშშ დოლარი). აღსანიშნავია, რომ 2000-2001 წლებში, საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების ათეული, სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, თურქეთით იწყებოდა, 2002-2005 წლებში კი, რუსეთით. 2014 წელს მაღალი მაჩვენებლი ჰქონდა ჩინეთსაც. იმავე წელს წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68% შეადგინა.[20]. 2015 წელს საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ათეულის წილი მთლიან ექსპორტში 66,3%-ს შეადგენს. მათ შორის გვხვდება დსთ-ის 4 ქვეყანა, რომელთა წილი მთლიან ექსპორტში შეადგენს 30,9%-ს და ევროკავშირის 3 ქვეყანა -შესაბამისად 16,5%-ის წილით (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში 2015 წელს (%)



2015 წელს 2014 წელთან შედარებით, საექსპორტო ათეულის პირველ ორ ქვეყანასთან – აზერბაიჯანსა და სომხეთთან, ექსპორტის მოცულობა შემცირდა. სამაგიეროდ, ზრდა

[19] ო. აბესაძე. საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებებისაერთაშორისო სამეცნიერო კონფერენcia გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, გამომცემლობა „უნივერსალი“თბილისი 2016 თბ. გვ.37

[20]Abesadze,O. The dynamics of trade relations with the EU in the background of deep and comprehensive Free Trade Area.Viena, 2015.pp.11-14

დაფიქსირდა ბულგარეთისა და ჩინეთის მიმართულებით ექსპორტის მოცულობაში. ეს ტენდენცია კარგად ჩანს დიაგრამაზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოთხი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე ქვეყანას და მათი წილი მთლიან ექსპორტში 2015 წლის მონაცემებით, 34,9%-ს წარმოადგენს. რაც იმის მანიშნებელია, რომ საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქცია ჯერ კიდევ ნაკლები პოპულარობით სარგებლობს.

დიაგრამა 4. საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების ათეული 2014-2015 წლებში



მსხვილ საექსპორტო ქვეყნების ხუთეულში შედის რუსეთი, რომლის წილი 2014 წელს მთლიან ექსპორტში 9,6%-ს, ხოლო მისი მოცულობა 274,9 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. თუ გადავხედავთ მონაცემებს დინამიკაში, მისი წილი ექსპორტში საკმაოდ მაღალი იყო 2000 წელს, როდესაც მაჩვენებელი 20,7%-ს გაუტოლდა. Eეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს საექსპორტო პროდუქციის მე36 ხუთედი რუსეთის ბაზარზე გადიოდა. 2001-2005 წლებში, რუსეთი ათეულის ლიდერი იყო და ამ პერიოდში საქართველოს მთლიან ექსპორტში მისი წილი საშუალოდ 18,6%-ს შეადგენდა. ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენდა: ღვინო, მინერალური წყლები, სპირტიანი სასმელები, ფეროშენადნობები, თხილი, შაქარი, მანგანუმის მადნები, საფრენი აპარატები, ჩაი და რკინიგზის ლოკომოტივები. სიტუაცია შეიცვალა 2006 წლიდან. Aამ დროს Mმისი მაჩვენებელი 2005 წელთან შედარებით 51%-ით შემცირდა და 2010 წლამდე სიტემატური შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. Aამის მიზეზი იყო ემბარგო, რომელიც რუსეთმა, პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებების გამო, ქართული წარმოების პროდუქციაზე დააწესა. Aამის გამო რუსეთში ექსპორტის წილმა საქარ- თველოს მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 8,1% შეადგინა. ეს მაჩვენებელი შემდგომ წლებში კიდევ შემცირდა და 2011 წელს 4,7% შეადგინა და რუსეთი პოზიციურად მე-12 ადგილზე აღმოჩნდა. რადიკალურად იცვლება სიტუაცია 2012 წლის შემდეგ. Mმარტო 2013 წელს რუსეთთან ექსპორტში 307,4%

მატება დაფიქსირდა, ხოლო 2014 წელს 2013 წელთან შედარებით 44,1%-იანი მატებაა და რუსეთის წილმა საქართველოს ექსპორტში 9,6%-ს მიაღწია[21].

თუმცა, 2015 წლის მაჩვენებლები, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია. რუსეთში ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს: ყურძნის ნატურალური ღვინოები, მინერალური და მტკნარი წყლები, არადენატურირებული 80 % -ზე ნაკლები სპირტის კონცენტრაციით ეთილის სპირტი და სპირტიანი სასმელები, ფეროშენადნობები და სხვა. საერთოდ, საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო საქონელს წარმოადგენს: სპილენძის მადნები და კონცენტრატები(მთელი ექსპორტის 15%), ფეროშენადნობები (9%), მსუბუქი ავტომობილები(8%), თხილი(7%), ღვინო(5%) და სხვა. უმსხვილესი საიმპორტო საქონელს წარმოადგენს: სამკურნალო საშუალებები (მთელი იმპორტის 31%), ნავთობპროდუქტები(6%), მსუბუქი ავტომობილები (5%),ნავთობის აირები (3%) სპილენძის მადნები (3%) და სხვა.

დიაგრამა 5. საქარტველოს უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში 2015 წელს(%)



2015 წელს საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო ათეულს სათავეში უდგას აზერბაიჯანი-240,4 მლნ აშშ დოლარით, რომელიც წინა წელთან შედარებით შემცირებულია 55,8%-ით და მისი წილი მთლიან ექსპორტში შეადგენს 10,9%-ს. აზერბაიჯანის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში 2000-2015 წლებში საშუალოდ 12,5%-ს შეადგენდა. ძირითად საექსპორტო პროდუქციას აზერბაიჯანში წარმოადგენს: მსუბუქი ავტომობილები (63,6 მლნ

[21]ო. აბესაძე. საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი. თბ., 2015. გვ.130-131

დოლარი), რომლის ექსპორტი წინა წელთან შედარებით შემცირებულია 77%-ით; სამკურნალო საშუალებები (26,3 მლნ დოლარი), რომლის ექსპორტი შემცირდა 5,4%- ით. საქართველოს მეორე უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყანა არის ბულგარეთი 214,2 მლნ აშშ დოლარით. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით, გაზრდილია 28,2%-ით. 2015 წლის მონაცემებით საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო პარტნიორ ქვეყნებს შორის მე-3, მე-4 და მე-5 ადგილებს იკავებენ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები, შესაბამისად, თურქეთი 8,4%-ით, სომხეთი 8,25- ით და რუსეთი 7,4%-ით. 2016 წლის იანვარ-ივლისის მონაცემებით საექსპორტო პარტნოირი ქვეყნების ხუთეული ასე გამოიყურება:თურქეთი (11%), ჩინეთი(10%), რუსეთი(9%), ხომხეთი (8%),ბულგარეთი (7%).

2015 წელს საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო ათეულის წილი მთლიან იმპორტში შეადგენდა 66%-ს. 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, საიმპორტო ათეულის პირველ ორ ქვეყანასთან, თურქეთსა და ჩინეთთან, იმპორტის მოცულობა შემცირდა. სამაგიეროდ, ზრდა შეინიშნებოდა და ათეულის მეორე ადგილზე გადმოინაცვლა რუსეთმა. ეს ტენდენცია კარგად ჩანს დიაგრამა 6-ზე. რუსეთიდან საქართვე37 ლოში შემოდის ხორბალი, მისი მოცულობა 2013 წელთან შედარებით მართალია მცირედ (1%-ით), მაგრამ მაინც გაიზარდა. გაიზარდა აგრეთვე, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადების იმპორტი 32%-ით, 46%-ით შემცირდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი, 2013 წელთან შედარებით, 39%-ით გაიზარდა რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი, შოკოლადისა და კაკაოს შემცველი დანარჩენი მზა კვების პროდუქტების შემოტანა ქვეყანაში კი გაიზარდა 3%-ით.

დიაგრამა 6. საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების ათეული 2014-2015 წლებში



აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 3 უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე ქვეყანას და მათი წილი მთლიან იმპორტში 2015 წლის მონაცემებით, 32,3%-ს შეადგენს. უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2014 წელს ნავთობი და

ნავთობპროდუქტები იყო, რომლის იმპორტმა 918,4 მლნ აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 10.7% შეადგინა. მეორე ადგილზე იყო მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი 715,1 მლნ. დოლარით, რაც იმპორტის 8.3%-ია. მესამე ადგილზე - ნავთობის აირებისა და აირისებრი ნახშირწყალბადების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა 368,5 მლნ დოლარით, რაც მთლიანი იმპორტის 4.3% იყო.(წწწ.გეოსტატ.გე) 2016 წლის იანვარ-ივლისის მონაცემებით უმსხილესი საიმპორტო ქვეყნების სტრუქტურა შეცვლილია და ხუთეული ასე გამოიყურება:კანადა(23%), თურქეთი(14%), რუსეთი (7%), ჩინეთი (6%), ირლანდია (6%).

ცხრილი N1 საგარეო ვაჭრობა. მილიონი აშშ დოლარი (2015-2020)[22]

	2015	2016	2017	2018	2019*	2020*(იანვარი-მაისი)
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	9 504.3	9 407.0	10 678.8	12 492.2	12 920.6	4 205.8
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	2 204.2	2 113.0	2 735.8	3 355.7	3 769.4	1 236.5
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	7 300.2	7 293.9	7 943.0	9 136.5	9 151.2	2 969.2
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5 096.0	- 5 180.9	-5 207.2	-5 780.7	-5 381.8	-1 732.6
ექსპორტი რეექსპორტის გარეშე	1 602.5	1 620.4	2 007.8	2 221.4	2 332.6	894.9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სამსახური

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს გრაფიკული გამოსახულება , 2015-2020 წლების დინამიკური მწკრივის მიხედვით.

2018 წლის სტატისტიკური მონაცემებით წმინდა ექსპორტი 11%-ით გაიზარდა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 68% წმინდა ექსპორტი - 2018 წელს საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტის ისტორიული მაქსიმუმი - 2 297 მლნ აშშ დოლარის დაფიქსირდა. აქედან 85% საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მქონე ქვეყნებში გავიდა, რომელთა ჯამური საექსპორტო ბაზარი მსოფლიო სამომხმარებლო ბაზრის 1/3 და 2.3 მილიარდზე მეტი მომხმარებელია. რეექსპორტი - 2018 წელს, საქართველოდან

[22] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

განხორციელებულმა რე-ექსპორტმა ასევე ყველა წინა წლის მაჩვენებელს გადააჭარბა, 66%-ით გაიზარდა და 1 065.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 32% შეადგინა. ამასთან აღსანიშნავია, რომ რეექსპორტისთვის ძირითადი სამომხმარებლო ბაზარი დსთ-ს ქვეყნებია, რომლებშიც მთლიანი რეექსპორტის 79% გადის.

2018 წელს სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირთან გაიზარდა 17,7%-ით, 3 359.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 26.9% დაიკავა. მათ შორის: • ექსპორტი - 730.3 მლნ. აშშ დოლარი, 11.5 %-ით მეტი და საქართველოს ექსპორტის 21.7%. მათ შორის წმინდა ექსპორტი 637 მლნ. აშშ დოლარი და ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 87.3%. რეექსპორტი 93.3 მლნ აშშ დოლარით და 12.7%; • იმპორტი 2 629.1 მლნ. აშშ დოლარი, 19.5%-ით მეტი და საქართველოს იმპორტის 28.8%.

დიაგრამა 7. საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2015-2020 წწ. იანვარში (მლნ. აშშ დოლარი)



დიაგრამა 8. 2015-2020 წწ. იანვარში საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების წილი ბრუნვაში (%)



ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2018-2020 წლებში ექსპორტ-იმპორტის ყოველთვიურ დინამიკას აბსოლუტურ მაჩვენებლებში, ასევე მათ პროცენტულ ცვლილებას წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით.

ცხრილი N2 საქართველოს ექსპორტი და იმპორტი

		ექსპორტი		იმპორტი	
		ათასი აშშ დოლარი	ცვლილება (%)	ათასი აშშ დოლარი	ცვლილება (%)
2018	იანვარი	222 649.9	25.9	594 574.0	20.1
	თებერვალი	223 657.0	24.3	638 951.0	8.4
	მარტი	285 811.5	29.2	851 801.8	37.9
	აპრილი	229 176.7	8.3	734 348.5	23.6
	მაისი	323 793.9	50.4	809 023.6	26.9
	ივნისი	307 811.0	30.6	779 221.5	21.0
	ივლისი	278 175.9	30.8	797 002.0	24.1
	აგვისტო	275 376.0	16.5	772 797.5	9.8
	სექტემბერი	301 179.5	16.9	719 718.8	4.6
	ოქტომბერი	302 920.2	15.0	866 185.7	18.5
	ნოემბერი	276 196.5	16.6	751 094.2	-1.3
	დეკემბერი	328 964.1	14.1	821 760.9	-2.0

როგორც კონტინენტების, ასევე ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით, 2015 წლამდე საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებს ტერიტორიულად უახლოესი მეზობელი ქვეყნები წარმოადგენდენ. 2016 წლის პირველ ნახევარში კი, საქართველოს საგარეო სავაჭრო სივრცეში მოწინავე პოზიციაზე ახალი ქვეყნები გამოჩნდნენ, რომლებმაც შეცვალეს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული სტრუქტურა. მიუხედავად საექსპორტო და საიმპორტო ურთიერთობების ინტენსივობის ზრდისა, ჯერ კიდევ არ მოხდა ექსპორტის იმპორტით გადაფარვის კოეფიციენტის ზრდა. თუმცა, ამავე პერიოდში გაფართოვდა ვაჭრობის გეოგრაფია და გაიზარდა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა, 2013 წელთან შედარებით, 40-დან 43-მდე გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომელთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს, მაგრამ, ამასთან, 94-დან 102-მდე გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვიც, ვისთანაც საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს. საგარეო ვაჭრობის ზრდა ძირითადად იმპორტის წინმსწრები ზრდის ტემპითაა განპირობებული.

ბოლო მონაცემებით, იმპორტი 3-ჯერ აღემატება ექსპორტს, ევროკავშირის ქვეყნებთან კი თითქმის 4- ჯერ მეტი მაჩვენებელი დაფიქსირდა. მართალია, დინამიკაში იზრდება ექსპორტის კვოტის მაჩვენებელი, რაც საგარეო ბაზარზე ეროვნული საქონლის კონკურენტუნარიანობის მზარდ ტენდენციაზე მიუთითებს, მაგრამ უფრო სწრაფი ტემპით იზრდება იმპორტის კვოტა,

რაც შიგა ბაზრის იმპორტირებული საქონლით გაჯერებას ნიშნავს. საქართველოს ეკონომიკური ზრდა და ექსპორტის ზრდა 2005-08 წლებში მიმდინარეობდა მსოფლიო ეკონომიკის აღმავალი ზრდის ტენდენციების პარალელურად, მკვეთრად იზრდებოდა საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები და საგარეო ინვესტიციები მსოფლიოში და შესაბამისად საქართველოშიც. თუმცა, დასაქმების პრობლემა არსებითად არ იქნა გადაწყვეტილი. ეს იმით აიხსნება, რომ ექსპორტი იზრდებოდა ფასების ზრდის ხარჯზე, და, რა თქმა უნდა, ეს ხელს ვერ შეუწყობდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. 2011 წელს ექსპორტმა პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში გადააბიჯა 2 მლრდ. დოლარის ნიშნულს და შეადგინა 2189.1 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 2012 წლის იანვარ-მაისში 961.2 მლნ. აშშ დოლარი. 2011 წელს 2007 წელთან შედარებით ზრდამ შეადგინა 77%. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს საექსპორტო პროდუქციის ნომენკლატურა ძალზე შეზღუდულია, ხოლო ახალი საექსპორტო პროდუქტები არ იქმნებოდა, რის გარეშეც ახალი სამუშაო ადგილები ვერ შეიქმნებოდა. ამ დებულების სისწორეს ადასტურებს ავტორის მიერ ჩატარებული ანალიზი, რომელიც წარმოდგენილია სტატიაში საერთაშორისო ვაჭრობის მენეჯმენტი და საექსპორტო პოტენციალის ამაღლების კონკრეტული მიმართულებები.[23]

დიაგრამა 9. ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა 2019-2020 წწ. იანვარში (მლნ. აშშ დოლარი)



2016 წლის იანვარ-ნოემბერში, ქართული პროდუქციის ექსპორტში პირველი ადგილი რუსეთს უჭირავს - 182.4 მლნ დოლარით. აქედან 51.3 მლნ დოლარი ღვინის ექსპორტზე მოდის, 32.4 მლნ დოლარი ფეროშენადნობების ექსპორტზე. 32 მლნ დოლარის მინერალური და

[23]გ., ღაღანიძე, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018 გვ.31

მტკნარი წყლების ექსპორტი განხორციელდა. 11.7 მლნ დოლარის სპირტიანი სასმელების ექსპორტია.

საქართველოს ექსპორტში მეორე ადგილზე თურქეთია 163.7 მლნ დოლარით. თურქეთში გატანილი პროდუქციიდან პირველ ადგილზე ტრიკოტაჟის ნაწარმია - 34.3 მლნ დოლარით. 13.4 მლნ დოლარის ფქვილი და ხორცის გრანულები გავიდა, 13.1 მლნ დოლარის ელექტროენერგია.

ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოს ექსპორტში ყველაზე დიდი წილი ბულგარეთს უჭირავს, სადაც 144 მლნ დოლარის პროდუქცია გავიდა და საქართველოს მთლიან ექსპორტში ბულგარეთმა მე-4 ადგილი დაიკავა. ევროკავშირის ყველა ქვეყანაში ერთად კი 513 მლნ დოლარის ექსპორტი განხორციელდა, რაც რუსეთში განხორციელებულ ექსპორტზე თითქმის სამჯერ მეტია.

2018 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 17%-ით გაიზარდა და 12 484.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი 22.9%-ით გაიზარდა და რეკორდული მაჩვენებლით - 3 362.1 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა;

იმპორტი 14.9%-ით გაიზარდა და 9 122.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა;

სავაჭრო ბალანსმა 5 760.2 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 46% შეადგინა[24].

2020 წლის იანვარ-აპრილში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 78.1 პროცენტი შეადგინა, – საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ წინასწარ მონაცემებს საქსტატი ავრცელებს. საქსტატის წინასწარი მონაცემებით, უმსხვილეს საექსპორტო სამეულში პირველ ადგილს 145.2 მლნ. აშშ დოლარით აზერბაიჯანი იკავებს, მეორე ადგილზეა ჩინეთი – 135.5 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე რუსეთი – 125.6 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტით. წინასწარი მონაცემებით, ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 68.9 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულშია: თურქეთი – 406.0 მლნ. აშშ დოლარით, რუსეთი – 270.1 მლნ. აშშ დოლარითა და აზერბაიჯანი – 221.8 მლნ. აშშ დოლარით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2020 წლის იანვარ-აპრილში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 70.1 პროცენტი შეადგინა.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების სტატისტიკური

[24] წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქართველოს საგარეო ვაჭრობა - 2018 წელი. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12

მაჩვენებლების თანხმად ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი, რუსეთი და აზერბაიჯანი. ამასთან, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2020 წლის იანვარ-აპრილში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 3 463.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 11.8 პროცენტით ნაკლებია.[25]

ექსპორტის მცირე მასშტაბი პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში პროდუქციის წარმოების მასშტაბების დაბალ დონესთან, რადგან საუბარია არა მხოლოდ საექსპორტო პროდუქციის წარმოების მცირე მასშტაბთან, არამედ _ იმპორტის მაღალ დონესთან. იმპორტის მუდმივი მატება ნათელყოფს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქცია ვერ უზრუნველყოფს ვერც ადგილობრივ ბაზარს, რაც, თავის მხრივ, უმუშევრობის საფუძველია. ამიტომ, ექსპორტის დაბალი მაჩვენებელისადმი, შესაბამისად _ იმპორტის მზარდი მაჩვენებლისადმი ყურადღების კონცეტრირება და ექსპორტ_იმპორტის დინამიკაზე ეკონომიკური აქცენტების გაკეთება მნიშვნელოვანია ქვეყნის უმთავრესი სოციალურეკონომიკური გამოწვევის _ სიღარიბის დასაძლევად. იმპორტის პოზიციების ასეთი გაძლიერება სირთულეს უქმნის არა მხოლოდ ადგილობრივი კომპანიების ფინანსურ თუ ინსტიტუციურ მდგრადობას და შემდგომ განვითარებას, არამედ შეუძლებელს ხდის არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნებას და, მით უფრო, ახალი ადგილების გენერირებას. ეს თანაბრად ეხება როგორც ქვეყნის შიდა მოთხოვნილებებზე, ასევე საექსპორტო მიმართულებებზე ორიენტირებულ სექტორებს და კომპანიებს. როგორც ადგილობრივ ბაზარზე ფოკუსირებული მომსახურება და საქონელი, ასევე საექსპორტო პოტენციალი ყველაზე მეტად იქმნება იმ სფეროებში, სადაც მოსახლეობის დასაქმება დიდია. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში. ამ სექტორის საექპორტო და ადგილორივი პოზიციების Sენარჩუნება განსაკუთრებით მტკივნეული იმ ფაქტორის გამო იქნება, რომ მასში ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 55,6%-ია დასაქმებული. ამდენად, ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ბალანსის კონფიგურაციის მკვეთრი ცვლილება სავაჭრო დეფიციტის ზრდის თვალსაზრისით საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი პრობლემაა, რომელსაც ნეგატიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს. აქედან გამომდინარე, მისი საფუძვლიანი ანალიზი და შესაბამისი პრევენციული ქმედებების აუცილებლობა აშკარაა.

[25] https://imedinews.ge/ge/ekonomika/143242/saqstati-ianvaraprilshi-saqartvelostvis-umskhvilesi-saeqsporto-qvekana-azerbaijania-kvelaze-didi-importiori-turqeti

2.2. საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ანალიზი

მეტად საყურადღებოა მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტ-უნარიანობის პრობლემაც, რომელიც ღია ეკონომიკისა და გაღრმავებული გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო ანგარიშგასაწევი ხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მრეწველობის კრიზისამდელი დეფორმირებული სტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მიუღებელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში მომუშავე ქვეყნისათვის. ჩვენ გვჭირდება სრულიად ახალ ტექნოლოგიურ წყობაზე გადასვლა, რადგანაც ცნობილია, რომ ცივილიზაციების განვითარება სწორედ ტექნოლოგიური წყობის განვითარებით არის განპირობებული.

მიუხედავად რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობისა, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ვითარდება, ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულება დიდ იმედებს წარმოშობს. საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა უკვე დემოკრატიულ გარემოში ყალიბდება, რაც ინსტრუმენტების გამოყენების რაციონალურობას განაპირობებს. იუხედავად მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებებისა საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა ჯერ კიდევ შორსაა იმ სასურველი სტანდარტისაგან, რომელიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას უზრუნველყოფს.

ევროკავშირთან დადებულმა ხელშეკრულებამ საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში ახალი რეგულაციები დაამკვიდრა. მათი მოქმედების შედეგად უკვე დაიწყო საგარეო სავაჭრო ნაკადების სტრუქტურისა და მიმართულებების ცვლილება.

საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ახალმა მოთხოვნებმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის ზრდის ტენდენცია წარმოშვა.

ლიბერალური საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის საფუძვლები შექმნა. მიმდინარეობს საინვესტიციო ნაკადების განუხრელი ზრდა, მაგრამ მათი სტრუქტურისა და მიმართულებების მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ხორციელდება.[26]

კეთილდღეობის მოსალოდნელი ამაღლება ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამოკიდებული იქნება საკუთარი მარეგულირებელი პოლიტიკის ევროკავშირის შესაბამის პოლტიკასთან წარმატებულ დაახლოვებაზე, რომლის განხორციელებაც უკვე დაწყებულია, ვაჭრობის შემზღუდავი ბარიერების შემცირებაზე, ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშემწყობ ნორმატიულ და ინსტიტუციონალურ ჩარჩოებზე,

[26]თ. მიქაბერიძე საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში თბილისი 1 ავტორის სტილი დაცულია 2016 გვ. 102

რასაც უნდა მოჰყვეს საინვესტიციო სფეროში რისკების შემცირება და ახალი საწარმოო სტრუქტურების განვითარება. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია უნდა მოხდეს მაღალი ტექნოლოგიების მწარმოებელ ფირმებთან დაახლოვება და მიწოდების ქსელის შექმნა. ასე, რომ ღრმა ეკონომიკური რეფორმების გაგრძელება, ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორცილება საქართველოსთვის კვლავ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.

საქართველოს ესაჭიროება საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი პოლიტიკის განახლება და გაუმჯობესება ძირითად სავაჭრო საქმიანობაში ახალი გამოწვევების ხელშეწყობის მიზნით, რათა გაიზარდოს და დივერსიფიცირებულ იქნეს კერძო სექტორის წარმოება და ექსპორტი. სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზების შემდეგ, ასევე კაპიტალისა და სამუშაო ძალის მოძრაობის ლიბერალიზებით საქართველოში შესაძლებელია სავაჭრო ინფრასტრუქტურის ინტეგრაციული დინამიზმით განვითარება, თუმცა ძალზე მნიშვნელოვანია ღრმა ინტეგრაციიდან მიღებული შესაძლებლობების განხილვაც. სატარიფო და არასატარიფო ლიბერალიზებას კეთილდღეობის დონის უფრო მნიშვნელოვნად ამაღლება შეუძლია. რაც უფრო მსგავსი და დახლოვებული ეკონომიკური პოლიტიკა აქვთ ქვეყნებს ლიბერალიზების თვალსაზრისით, მით უფრო მეტია მათი პარტნიორობის შედეგად მიღებული სარგებელი. მსგავსება და დაახლოება კი გულისხმობს, როგორც მოქმედი ბარიერების გაუქმებას, ასევე ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს ვაჭრობის განვითარებას პარტნიორ ქვეყნებს შორის, ინვესტიციების განხორციელებას, დადებითი გარეშე ფაქტორების შექმნასა და მწარმოებლურობის ზრდას.[27]

იმპორტის ლიბერალიზების გათვალისწინებით, როდესაც ვიხილავთ საქართველოსა და მისი სავაჭრო პარტნიორების ვაჭრობის მოდელის დეტალებს, აგრეთვე ვაჭრობისა და წარმოების სტუქტურას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვაჭრობის ორიენტაციის შეცვლა უფრო დაბალანსებულია, ვიდრე ახალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა, როგორც ევროკავშირის, ისე მსოფლიო ბაზარზე. ჩვენი აზრით, საერთაშორისო ნაკადების განვითარებას ხელი უნდა შეეწყოს როგორც რეგიონულ, ისე მსოფლიო დონეზე. ეს გულისხმობს, რომ სასურველია წინასწარ განხორციელებული გაანგარიშებებით დადგენილი ტენდენციების გათვალისწინებით მიმდინარეობდეს საგარეო ვაჭრობა შიგადარგობრივი ვაჭრობის მაღალი ხარისხის მქონე ისეთი საქონლით, როგორიცაა - სასაქონლო ჯგუფები სამნიშვნა დონეზე (SITC): ხილი და თხილი; უალკოჰოლო სასმელები; სპილენძის მადნები და კონცენტრატები; პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები; ქალის ტანსაცმლის ნაწილები, ტექსტილის ქსოვილები, ხელით ან მანქანით ნაქსოვი ტრიკოტაჟი და

[27]თ. მიქაბერიძე, საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში თბ. 2016 გვ. 180

სხვა. ეს დასტურდება იმით, რომ შიგადარგობრივი ვაჭრობის ინდექსი და ექსპორტის მსგავსების ინდექსიც მეტია იმ ქვეყნებთან, რომლებიც არ არიან ძირითადი სავაჭრო პარტნიორები. ამასთან არ შეინიშნება პროპორციული ცვლილება ამ ორ ინდექსს შორის. ხშირად მისი მოულოდნელი ზრდა ან შემცირება გამოწვეულია ზოგადად სავაჭრო ნაკადების მოულოდნელი ცვლილებით უმცირესიდან უდიდეს ზომებამდე, რაც გამოწვეულია შემთხვევითი, სტოხასტური და არატრენდული სავაჭრო ნაკადებითა და სავაჭრო კავშირებით ქვეყნებს შორის (რაც ზოგადად სუსტი სავაჭრო კავშირებით, ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურების არასაკმარისი დივერსიფიკაციით და ეკონომიკური განვითარების დაბალი დონითაა განპირობებული). რაც, მთავარია ამის მიზეზი არ არის მხოლოდ მსოფლიო ბაზრებზე არსებული ბარიერები (როგორც სატარიფო, ისე არასატარიფო). ამაზე მეტყველებს ექსპორტის წილი სავაჭრო ბრუნვასა და მშპ-ში, რაც თითქმის არ შეცვლილა WTO-ში გაწევრიანებისა და ვაჭრობის ლიბერალიზების შემდეგ. შიგადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის ფორმებისა და მიმართულებიის კვლევის სიმწვავე განსაკუთრებით აქტუალურია მცირე ღია ეკონონომიკის ქვეყნებისთვის, როგორიცაა საქართველო. სავაჭრო ნაკადების ახალი ფორმებისა და ტექნო-ლოგიების შესაძლებლობების კვლევა უნდა გახდეს ორიენტირი ქვეყნის შემგომი ეკონომიკური განვითარებისთვის.[28]

[28]თ. მიქაბერიძე საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთან-ხმების საზღვრებში თბილისი 1 ავტორის სტილი დაცულია 2016 გვ. 196

თავი III. ქართული ექსპორტის მასტიმულირებელი და შემაფერხებელი ფაქტორები

3.1. ქართული პროდუქტის ექსპორტის პრობლემები და პერსპექტივები

რატომ არ იზრდება საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი- უამრავი მიზეზი სახელდება. განვიხილავთ, იმ შემაფერხებელ ფაქტორებს, რასაც მსხვილი ექსპორტიორები ყველაზე ხშირად ასახელებენ, ასევე, ზოგადად, აგრარული სექტორის პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლის ადგილობრივ მწარმოებლებს გავიდნენ ევროკავშირის ბაზარზე.

პროდუქციის დაბალი ხარისხი და არაერთგვაროვნება

საქართველოში წარმოებული პროდუქტი არ არის კონკურენტუნარიანი ევროკავშირის ბაზარზე, რადგან პროდუქტის ხარისხი არ არის შესაბამისობაში ევროკავშირის სტანდარტებთან. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს როგორც ხარისხიანი პროდუქტის შექმნისთვის შესაბამისი ცოდნის უქონლობა, ასევე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. ფერმერებმა არ იციან, როგორ გააუმჯობესონ ხარისხი. მსხვილი ექსპორტიორებისთვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს როგორც ხარისხიანი, ასევე, ერთგვაროვანი პროდუქციის შეგროვება, შესაბამისად, პროდუქტის სტანდარტულ კატეგორიებად დაყოფა რთულდება. ადგილობრივი შემგროვებელი პუნქტების არარსებობის გამო პროდუქცია დამატებით ტრანსპორტირებას საჭიროებს, რაც ზრდის პროდუქტების დაზიანებით გამოწვეულ დანაკარგებს. მნიშვნელოვნად შემაფერხებელია ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატების უქონლობა, რომლის აღება ისედაც მცირემასშტაბიანი ფერმერებისთვის დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მეორეს მხრივ, ფერმერებს არ აქვთ საბრუნავი საშუალებები და არ მიუწვდებათ ხელი ფინანსებზე. შედეგად, წარმოების მცირე მოცულობების გამო ფერმერები ვერ გადიან ევროკავშირის ბაზარზე, რომელიც უწყვეტ მიწოდებას და ხარისხიან პროდუქტს ითხოვს, ამიტომ ისინი,

ძირითადად, ადგილობრივ ბაზარზე ფოკუსირდებიან. თუმცა, აქ ახალ პრობლემას აწყდებიან - იმპორტს კონკურენციას ვერ უწევენ[29].

მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, ლოჯისტიკა, სამაცივრე მეურნეობები და ტრანსპორტირება ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა უდიდეს პრობლემას წარმოადგენს.

საბრუნავი საშუალებების სიმცირე და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა

ექსპორტიორებს სჭირდებათ საბრუნავი საშუალებები იმისათვის, რომ შეიძინონ ხილ-ბოსტნეული ფერმერებისგან, თუმცა, სახეზეა საბრუნავი კაპიტალის სიმცირე. როდესაც ქართველ ექსპორტიორს უნდა ევროპის ბაზარზე შესვლა, იგი უნდა იყოს პროდუქციის სტაბილური მიმწოდებელი, იმავდროულად, კონკურენცია უნდა გაუწიოს სხვა მიმწოდებლებს, რაც გამოიხატება დიდი მოცულობებით მიწოდებაში. ძირითადად, ამ პროდუქციას სუპერმარკეტების ქსელები და საბითუმო დისტრიბუტორები იბარებენ. იმისათვის, რომ ექსპორტიორმა არსებული მოთხოვნა დააკმაყოფილოს, დიდი რაოდენობით საბრუნავი საშუალებები ესაჭიროება, ბანკები კი, თავის მხრივ, თავს იკავებენ, ან მაღალ პროცენტად გასცემენ მსგავსი დანიშნულების სესხებს: მაღალია პროდუქტის დაზიანების რისკი, რომლის დადგომის შემთხვევაში ექსპორტიორი ვერ შეძლებს ვალის დაფარვას. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა ერთ-ერთი პირველია, რაც ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება დასახელდეს ბიზნესის კეთებისას.

ევროპის ბაზრების შესახებ მწირი ინფორმაცია

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრის (EPRC) მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით (მცირე ზომის ფერმერთა საჭიროებებისა და ინფორმირებულობის კვლევა), გამოკითხული 500 ფერმერიდან 71%-მა არაფერი იცოდა DCFTA-სა და სხვა შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმების შესახებ. სურსათის ჰიგიენის სტანდარტის - HACCP-ისა და Global Gap-ის შესახებ ინფორმაცია ფერმერთა უმრავლესობამ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მიიღო. ამიტომ მნიშვნელოვანია,სახელმწიფომ გააძლიეროს კომუნიკაცია ფერმერებთან და გააცნოს მათ ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნები. ფერმერებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ის შესაძლებლობები, რასაც DCFTA სთავაზობთ.

ქართული პროდუქტების დაბალი ცნობადობა ევროპის ბაზარზე

ქართული აგრარული პროდუქტების წარმომავლობა ევროკავშირის ბაზრისთვის ჯერ კიდევ უცხოა, ამიტომ საჭიროა აგრესიული მარკეტინგული ღონისძიებების ჩატარება და ქვეყნის ერთიანი ბრენდის შექმნა, რაც ევროკავშირის ქვეყნების მომხმარებლებს შეუქმნის გარკვეულ წარმოდგენას ქართულ პროდუქტზე, თუმცა, მანამდე ხარისხის გაუმჯობესებაზე

[29] ქ. მელქაძე, ევროკავშირის ქვეყნებში ქართული ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი http://eugeorgia.info/ka/article/537/evrokavshiris-qveynebshi-qartuli-eqsportis-shemaferxebeli-faqtorebis-analizi/

მუშაობაა საჭირო. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოფენებშიც აქტიური მონაწილეობა.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების აღმოსაფხვრელად ექსპერტების მიერ შემოთავა-ზებული რეკომენდაციების მიხედვით, შესაძლებელია ეფექტიანობის გაზრდა სამრეველო მეურნეობაში და ახალი შესაძლებლობების ათვისება. კოლექტიური წარმოების ხელშეწყობა და კოოპერატივების განვითარება შეიძლება მივიჩნიოთ პრობლემის გადაჭრის გზად, თუ გვინდა მივაღწიოთ ერთიანი მოცულობების ზრდას და საექსპორტო პოტენციალის ათვისებას. კოლექტიური წარმოება ამცირებს ხარჯებს ღირებულებათა ჯაჭვის თითოეულ ეტაპზე და ხელს უწყობს მასშტაბის ეკონომიის მიღწევას. კოოპერირების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, რასაც მოწმობს 2013 წლიდან დღემდე დარეგისტრირებული კოოპერატივების რაოდენობა (1595), თუმცა, ახლა ჯერი მათ ხარისხობრივ მახასიათებლებზეა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინსრტოს მონაცემებით 2016 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 11 966 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 20%-ით მეტია[30].

- ✓ ექსპორტი შემცირდა 4%-ით და 2 114 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა
- ✓ იმპორტი გაიზარდა 27%-ით და 9 852 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა შეადგინა 7 738 მლნ. აშშ დოლარი და სავაჭრო ბრუნვის 65% დაიკავა.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 137 ქვეყნით განისაზღვრა, საიდანაც დადებითი სავაჭრო ბალანსი დაფიქსირდა 44 ქვეყანასთან.

2017 წესლ სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 2%-ით, 2 844 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 26.6% დაიკავა (2016-29.6%).

- ✓ ექსპორტი - 646.5 მლნ. აშშ დოლარი, 13%-ით მეტი და საქართველოს ექსპორტის 23.7% (2016-27.1%)
- ✓ იმპორტი - 2 197.5 მლნ. აშშ დოლარი, 0.8%-ით ნაკლები და საქართველოს იმპორტის 27.5% (2016-30.4%)
- ✓ ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 37%-ით (81.2 მლნ. აშშ დოლარით) შემცირდა და 140 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი
- ✓ გაიზარდა 44%-ით და შეადგინა 506.5 მლნ. აშშ დოლარი. (155.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

---

[30] საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2017 წელი http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/trade_turnover_2017_12_month_final_11.pdf

ევროპის ბაზრებზე ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებიდან ყველაზე დიდი ოდენობით ისევ თხილი და ღვინო იყიდება, თუმცა 2014 წელს ასოცირების შეთანხმების სავაჭრო კომპონენტის (DCFTA) ამოქმედების შემდეგ ევროკავშირის ბაზრის მიმართ ქართველი მეწარმეების ინტერესი სულ უფრო მეტად იზრდება. ქართული აგროპროდუქციის ევროკავშირში ექსპორტს ძირითადად აფერხებს: პროდუქტის დაბალი ხარისხი, ლოგისტიკური საკითხები, მეწარმეებში ევროპის ბაზრების შესახებ მწირი ინფორმაცია და ქართული პროდუქციის დაბალი ცნობადობა ევროპელ მომხმარებლებში.

სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ სფეროების მხარდაჭერაზე, რომლებშიც საქართველოს საერთაშორისო მასშტაბით აქვს კონკურენტული უპირატესობა. მაგალითად, ხილის, თხილის და ყურძნის წარმოების გაზრდა იმ დონემდე, რაც შესაძლებელს გახდის ამ კატეგორიის პროდუქციის ან მისი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის ექსპორტს.

ციტრუსები საქართველოში მრავალი წელია საექსპორტო შემოსავლების ერთ-ერთ ძირითად წყაროა. უახლესი ტექნოლოგიების დანერგვისა და ბაღების მოვლის სტანდარტების დაცვის შემთხვევაში ეს სფერო შეიძლება მნიშვნელონად განვითარდეს.

ყურძნის მოყვანა საქართველოში ერთ-ერთი ტრადიციული და ამავდროულად, პერსპექტიული სფეროა. ამ სფეროს განვითარებისთვის ჩვენი აზრით, გარდა ექსპორტზე ორიენტირებისა, მნიშვნელოვანია ადგილობრივ მოთხოვნაზე აქცენტის გაკეთებაც და ღვინის კომერციული მიზნით წარმოება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით მიმდინარეობს საქართველოსა და ისრაელს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიზანშეწონილობის კვლევა.

2019 წლის 11 იანვარს ხელი მოეწერა პროტოკოლს საქართველოსა და ინდოეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის მიზანშეწონილობის კვლევის დასრულების შესახებ. მიმდინარეობს კონსულტაციები მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე.

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების განხორციელების მიზნით საქართველო-თურქეთის ერთობლივი კომიტეტის ფარგლებში მიმდინარეობს მოლაპარაკებები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ტარიფების შემდგომი ლიბერალიზაციასა და შეთანხმებაში მომსახურებით ვაჭრობის დამატების შესახებ[31].

[31] მიმდინარე აქტივობები: http://www.economy.ge/?page=projects&s=36

3.2. ქართული პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე დამკვირდების პერსპექტივები

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეწარმეთა (საქონლისა და მომსახურების მწარმოებელთა) შორის ეკონომიკური ურთიერთობების ჩასახვა და განვითარება, ისტორიული თვალსაზრისით, ექსპორტ-იმპორტის ფორმით დაიწყო. შემდგომში კი მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა საერთაშორისო ბიზნესის სხვა ფორმებიც.

საგარეო ვაჭრობაში საქართველო იყენებს აღრიცხვის ,,ზოგად მეთოდს", რაც ნიშნავს, რომ საქონლის ექსპორტიმპორტის აღრიცხვის კრიტერიუმს მისი ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთა წარმოადგენს. ექსპორტი აღრიცხულია **FOB**, ანუ ესპორტიორი ქვეყნის ფრანკოსაზღვრის ფასებში. იმპორტი აღრიცხულია **CIF**, ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში, რაც ნიშნავს, რომ საქონლის ფასში ჩართულია იმპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე მისი ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯები.

ყველა საექსპორტო-საიმპორტო ოპერაცია იყოფა ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება საქონლით (მატერიალური პროდუქტებით) ვაჭრობა, როგორიცაა ნედლეული, მასალები, ავტომობილები, ტანსაცმელი, კომპიუტერები და სხვ.

ზოგიერთი ქვეყნის მთავრობის ოფიციალურ დოკუმენტში ვაჭრობის ასეთი ტიპი აღინიშნება ტერმინით ,,საქონლის ექსპორტ- იმპორტი" (მაგალითად აშშ-ში აღინიშნება ასე _ **,,Merchandise exports and imports"**). ზოგიერთ ქვეყანაში კი (დიდი ბრიტანეთი) ამ მიზნით იყენებენ ტერმინს ,,ხილული ვაჭრობა" (,,**visible trade**") საექსპორტო-საიმპორტო ოპერაცია- თა მეორე ჯგუფს მიეკუთვნება მომსახურებით ვაჭრობა (არამატერიალური პროდუქტებით ვაჭრობა), ანუ მომსახურების ყველა სახე, რომელიც მიეკუთვნება მომსახურების სფეროს, როგორიცაა საფინანსო-საკრედიტო (საბანკო) მომსახურება, სატრანსპორტო მომსახურება, სააუდიტორო მომსახურება და მრავალი სხვ.

ვაჭრობის ამ ტიპს ზოგიერთ ქვეყანაში ეწოდება ,,მომსახურების ექსპორტ-იმპორტი", ხოლო ზოგიერთში — ,,არახილული (უხილავი) ვაჭრობა". საერთაშორისო ბიზნესის ამ ფორმას, კერძოდ ექსპორტს, ძალიან ბევრ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მსხვილი კომპანიების ფინანსურ წარმატებაში, რადგან მთელი რიგი კომპანიების პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვების ძირითადი ნაწილი საზღვარგარეთის დამკვეთებზე (მყიდველებზე) მოდის. მაგალითად, კომპანია ბოინგში თვითმფრინავების კომერციული გაყიდვების 53% უცხოელ დამკვეთებზე მოდის, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას ათი ათასობით სამუშაო ადგილი თვით კომპანიაში და უფრო მეტი — სათადარიგო ნაწილებისა და დეტალების მიმწოდებელ ფირმებში. ასევე, საკმაოდ ხშირად საზღვარგარეთული გაყიდვები

უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მცირე კომპანიებშიც.

ექსპორტს ასევე დიდი მნიშვნელობა გააჩნია მთელი რიგი ქვეყნების ეკონომიკურ ცხოვრებაში — მაგალითად, მთლიან შიდა პროდუქტში 16 (მშპ-ში) ექსპორტის ხვედრითი წილი 2008 წელს შეადგენდა: ნიდერლანდებში 65,1%, კანადაში 43,3%, ინდონეზიაში 38,5, გერმანიაში 35,0%, საფრანგეთში 28,2%, მექსიკაში 27,6%, დიდ ბრიტანეთში 13,4%, ბრაზილიაში 13,4%, ინდოეთში 11,2%, იაპონიაში 10,4%, აშშ-ში 10,3%. საქართველოს აღნიშნული მაჩვენებელი 2007 წელს უდრიდა 12,8%-ს[32]. უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს საერთაშორისო ბიზნესის მეორე ფორმას, რომელსაც გააჩნია ისეთივე დიდი მნიშვნელობა, როგორც ექსპორტ-იმპორტს. დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ქვეყნის ეკონომიკის დამოუკიდებლობასა და საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედებას ასახავს. ამ მაჩვენებლის მაღალი დონე სამამულო წარმოების ჩამორჩენილობას მიგვანიშნებს, რაც პერსპექტივაში შესაძლოა სავალალო გახდეს ამ მხრივ საქართველოში ვითარება ძალზე არასახარბიელოა, კერძოდ იმპორტის მოცულობა შიდა საცალო საქონელბრუნვასთან მიმართებაში 153%-ია. ანუ იმპორტი ადგილობრივი საქონლით ვაჭრობას 15-ჯერ აღემატება. ყოველივე სამამულო წარმოების მკვეთრ შემცირებაში, ეროვნულ ბაზარზე დაბალხარისხიანი იმპორტული საქონლის მოზიდვაში აისახება.

საერთაშორისო ბიზნესში ჩართული ყველა ქვეყანა (მათ შორის საქართველოც) მეტ - ნაკლებად ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, სადაც ქვეყნის შიგნით საქმიან ოპერაციებთან ერთად საერთაშორისო ოპერაციებიც (ექსპორტი, იმპორტი და სხვა) ხორციელდება. აღნიშნულ ოპერაციებზე ანგარიშსწორება კი ხდება, როგორც ეროვნული ისე, მსოფლიო ვალუტით.

სხვასიტყვებით, ღია ეკონომიკა ეს ისეთი ეკონომიკაა, სადაცარარეზიდენტებს, განსაკუთრებით უცხოურ ფირმებს, გახსნილი აქვთ ეროვნულიმეურნეობის ბაზრების, დარგებისა და სფეროების უმრავლესობისკენ მიმავალი გზა (დახურულ ეკონომიკაში კი ბაზრების, დარგებისა და სფეროების უმრავლესობისკენმიმავალი გზა მათთვის ჩაკეტილია).

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში თითქმის არ არსებობს სრულიად გახსნილი, ანუ, ლიბერალიზებული ეკონომიკა რამდენიმე დიდი სახელმწიფოს გამოკლებით. სწორედ ამიტომ უფრო ხშირად მსჯელობენ შედარებით ღია, ან ნაკლებ ღია ეკონომიკაზე. ასე მაგალითად, საქართველოს ეკონომიკა უფრო გახსნილია, ვიდრე, ჩინეთისა, თუ ვიმსჯელებთ იმპორტულ საქონლეზე ტარიფებით, იმპორტული საქონლის წილით შიდა ბაზარზე, ან სავალუტო - საანგარიშსწორებო ურთიერთობებითა და სხვა მაჩვენებლებით.

[32] Гриффин Р., Пастей М., Международный бизнес, изд. сангл., под ред, А. Г.Медведева, СПБ.: Питер, 2006. стр.51

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ლიბერალური მოდელი, რომლის საფუძველზე ვითარდება საქართველოს ეკონომიკა, უარყოფს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას. მაგრამ თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობა აქტიურად ერევა ქვეყნის ეკონომიკაში საექსპორტო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით. საბაზრო ურთიერთობათა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენებოდა და დღესაც აქტიურად იყენებენ საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების პრაქტიკას. ადგილობრივი საწარმოების საექსპორტო საქმიანობა წახალისებული უნდა იქნეს უპირატესად და ძირითადი ძალისხმევა გადატანილ უნდა იქნეს ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოებზე. აუცილებელია შეფასდეს საქართველოს თანამედროვე საგარეო სავაჭრო პოლიტიკა და დაისახოს მისი შემდგომი განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებათა სისტემა. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საერთაშორისო ვაჭრობაზე უდიდეს გავლენას ახდენს ვალუტის კურსის ცვლილება. სახელდობრ, ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურება ზღუდავს იმპორტს და სტიმულს აძლევს ექსპორტს, ხოლო პირიქით, ეროვნული ვალუტის ზრდა (გაძვირება) იწვევს საპირისპირო სიტუაციას – ექსპორტის შემცირებას და იმპორტის ზრდას. [33]. განსხვავებული სცენარების მათემატიკური მოდელების გამოყენების (რომლებიც ეფუძნება არა სტატისტიკურ მასალებს, არამედ საექსპერტო შეფასებებს) ძირითადი მიზანია ქვეყნებსა და ცალკეულ რეგიონზე, მსოფლიო ეკონომიკის ლიბერალიზაციის გავლენის მასშტაბების დადგენა. ამ მოდელების არსებითი მეთოდოლოგიური სხვაობის მიუხედავად, მათში წარმოდგენილი მსოფლიო ეკონომიკის ცვლილებისადმი ზოგადი მიდგომა ერთიანია, რაც ლიბერალიზაციის, როგორც განვითარების ყველაზე მიმზიდველი და უსათუოდ საჭირო ვარიანტისადმი მეცნიერული მიდგომების ერთიანობაზე მეტყველებს[34].

მეცნიერული კვლევების უმრავლესობა მოწმობს მსოფლიო ეკონომიკის ზრდაში ლიბერალიზაციის დადებით წვლილზე. ა. ბოუნტის მონაცემებით, სრული ლიბერალიზაცია, ტარიფების, შიგა სუბსიდიებისა და დოტაციების გაუქმება გამოიწვევს მსოფლიო კეთილდღეობის (საერთო შემოსავლის) 100 მლრდ დოლარით, ანუ მსოფლიო მშპ-ის 0,33%-ით ზრდას. ამასთანავე, მსოფლიო შემოსავლის 73,7% მოდის განვითარებულ ქვეყნებზე, 24,1% - განვითარებად ქვეყნებზე და 2,2% - სუსტად განვითარებული ქვეყნების კატეგორიაზე (Lეასტ Dეველოპინგ ჩოუნტრიეს)[35]. მვო-ს ყოფილი ხელმძღვანელის, პასკალ ლამის მონაცემებით,

---

[33] ხ. ბერიშვილი, საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია და ინტეგრაცია, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარი,/ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, გამომცემლობა „უნივერსალი“თბილისი 2016 თბ. გვ.90

[34] Charnovitz S. 2016 Resist az Protectionism: The Top Trade Priority for the G20 Rebuilding Global Trade. Collected Articles Jointly Published by International Centre for Sustainable Development. გვ. 61

[35] Bount A. 2016 The Expected Benefits of Trade liberalization for world Income and development,

ზოგადი პოზიტიური ეფექტი გაუტოლდება 130 მლრდ დოლარს. არსებობს უფრო ოპტიმისტური კვლევებიც, რომლებშიც მოყვანილია მაღალი სანდოობის მონაცემები ქვეყნებს შორის საბოლოო შემოსავლების გაყოფის სრულიად სხვა პროპორციებით (განვითარებადი და სუსტად განვითარებადი ქვეყნების უფრო მაღალი წილით). საბოლოო ანგარიშით მეცნიერები მიდიან დასკვნამდე, რომ მსოფლიოსთვის ლიბერალიზაციის ზოგადი ეფექტი შესაძლებელია იყოს არაარსებითი, მაგრამ დადებითი, თუმცა ყოველთვის არსებობს პირობითი დაშვებები. ცხადია, რომ ლიბერალიზაციას არ მოაქვს სარგებელი საზოგადოების აბსოლუტურად ყველა წევრისათვის. ლიბერალიზაციის შედეგად ცალკეულმა მეწარმეებმა საწარმოო ფუნქციებისა და მოგების ახალი ნაკადების გადანაწილების პროცესში, შეიძლება განიცადონ დანაკარგები. ეს პრინციპი აღიარებულია საერთაშორისო ბიზნესის შესახებ ფუნდამენტურ გამოკვლევებში, რომლებიც მთლიანობაში მხარს უჭერენ ლიბერალიზაციის პოლიტიკას. ამასთან, ცხადია ისიც, რომ მაშინ, როდესაც ერები ღებულობენ მოგებას საერთაშორისო ვაჭრობისაგან (ლიბერალიზა-ციის პირობებში), შესაძლებელია ისიც, რომ საერთაშორისო ვაჭრობამ ზარალი მიაყენოს ერების შიგნით ცალკეულ ჯგუფებს [36]".

რ. დრისკილის ნაშრომში, დასაბუთებულია, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ფართოდ გამოყენებულ ბაზურ მოდელებშიც კი, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ თავისუფალ ვაჭრობას (დ. რიკარდო, ჰეკშერ-ოლინი), არსებობს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები. პოტენციური ეფექტების განაწილების საკითხები დამოკიდებულია ქვეყნის სპეციალიზაციასა და მის კონკურენტულ უპირატესობებზე, ხოლო მოგების განაწილება ერის შიგნით, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება წარმოების ფაქტორებზე საკუთრების უფლებების განაწილებით. ქვეყნების ერთი ჯგუფის მოგება ხშირად მიიღწევა მხოლოდ სხვების ზარალის ხარჯზე.[37]. მთლიანობაში, ლიბერალიზაციის გავლენა ეროვნული ეკონომიკის ზრდაზე, და ამის შედეგად ქვეყანაში სიღარიბის შემცირებაზე, ეჭვის ქვეშაა დაყენებული ფ.როდრიგესისა და დ.როდრიკის ნაშრომში, სადაც განიხილება დაბალი და მაღალი სავაჭრო ბარიერების მქონე ქვეყნების ეკონომიკური ზრდის თავისებურებები.

საქართველოს შესვლა მვო-ში უსათუოდ სერიოზული ნაბიჯია ქვეყნის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციის გზაზე, მაგრამ სწორი არ იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ეროვნული ეკონომიკები მვო-ს პირობებში მოქმედებენ პროტექციონიზმისაგან თავისუფალი რეჟიმით და ვაჭრობა სრულიად ღიაა. დღეს ეროვნული ეკონომიკების მხარდასაჭერად მვო-ში შემავალი ყველა ქვეყანა იყენებს როგორც სატარიფო, ასევე

Opening the „Bleck Box" of Global Trade Modeling. Food Policy Review, 8, IFPRI, Washington. გვ. 53

[36] Haniotis T. 2014. European Commission: DG for Agriculture and Rural Development. Issues of the post 2013 debate. Prezentacion. 2 Organic Congress, Brussels.h გვv. 204

[37] Driskill R. 2015 Deconstructingthe Argument For Free Trade. Washington. გვ.91

არასატარიფო შეზღუდვების ფართო სპექტრს . უფრო მეტიც, თუ შევხედავთ, მთლიანობაში, დღევანდელ ეკონომიკურ სიტუაციასა და მსოფლიო ვაჭრობის ტენდენციებს, მაშინ შეიძლება შევნიშნოთ დამცავი ზომების ზრდის ტენდენცია. ამ კონტექსტით აუცილებლად მიგვაჩნია შესწავლილ იქნეს მვო-ს წევრი - ქვეყნების მუშაობის გამოცდილება მისი შემდგომი ადაპტაციისა და საქართველოსთვის ახალ ეკონომიკურ პირობებში ეფექტიანი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის შესამუშავებლად. ეკონომიკური კრიზისის პირობებში პროტექციონისტული ზომების მაგალითია ე.წ. აღდგენისა და რეინვესტირების ამერიკული აქტი, რომელიც მიღებულ იქნა 2009 წლის დასაწყისში აშშ-ის კონგრესის მიერ. ამ აქტის თანახმად, აკრძალულია ეკონომიკის რეანიმაციაზე გამოყოფილი საშუალებების გამოყენება სამშენებლო და სარემონტო პროექტებში, მეტალურგიასა და სხვა სფეროებში, თუ პროექტში ჩაბმული რესურსები არ არის აშშ-ი წარმოებული. ლაკონური ფრაზა – „იყიდე ამერიკული," თვალნათლივ ასახავს დოკუმენტის ძირითად პრინციპებს[38].

აშშ, საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი ვაჭრობის ერთგულების მიუხედავად, ცნობილია თავისი აგროსექტორის მხარდაჭერის ძლიერი პროგრამით, ყველაფერი ეს მოწმობს თვით განვითარებული ქვეყნების მიერ დამცავი მექანიზმების აქტიური გამოყენების შესახებ, რაც ყოველთვის არ ემხრობა ვაჭრობის თავისუფლებას. ასეთი გამოცდილების შესწავლა დაგვეხმარება ახალი პირობებისადმი ადაპტირებასა და გლობალური შეჯიბრიანობის ჩარჩოებში საქართველოს კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. ბაზრის დახმარების მეთოდებს, რაც გამოიყენება დღეს საქართველოში, ხშირად სუსტი ეფექტი აქვთ, ამიტომ საჭიროა ეროვნული მწარმოებლების დაცვის ახალი ინსტრუმენტების ძებნა. ეროვნული წარმოებისთვის დახმარების გაწევის მოქმედი ზომების შესწავლის შედეგად, ახლო მომავალში მოგვიხდება დღეს დადგენილი იმპორტის მოცულობების გაზრდა, შევასრულებთ რა საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებებს მვო-ს ჩარჩოებში. ამასთანავე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის, რომ ნებისმიერ შემზღუდველ პოლიტიკას პირდაპირი აკრძალვების, მკაცრი კვოტირების ან მაღალი ტარიფების სახით, მივყავართ შიგა მომხმარებლებისთვის ფასების ზრდამდე. შედეგად, ეს გამოიწვევს ყველა სატარიფო ზომის პირდაპირ ასახვას საქონლის საბოლოო ფასში. შეიძლება თამამად აღვნიშნოთ ის, რომ სახელმწიფოს მრავალი ცდა – უზრუნველყოს უფრო ხელსაყრელი პირობები ეროვნული მწარმოებლებისთვის კლასიკური სატარიფო პოლიტიკის ხარჯზე, ანაზღაურდება მოსახლეობის მიერ. შესაბამისად, ვაჭრობაზე სახელმწიფო შეზღუდვების შემოღებისას, ზარალდებიან, უპირველეს ყოვლისა, მყიდველები, რომლებიც იძულებულები არიან გადაიხადონ იმპორტირებული საქონლისთვის, მაშინ, როდესაც მწარმოებლები რისკავენ

[38] Charnovitz S. 2016 Resist az Protectionism: The Top Trade Priority for the G20 Rebuilding Global Trade. Collected Articles Jointly Published by International Centre for Sustainable Development gv 42

შიგა ბაზარზე ბალანსის დაკარგვით, საბაზრო წონასწორობის თეორიების თანახმად აწარმოებენ რა საჭიროზე უფრო მეტს . ნებისმიერ შემთხვევაში მიღწეულ დისბალანსი იწვევს ეკონომიკის ზოგად დანაკარგებს, მომხმარებელთა მსხვილი დანაკარგების ხარჯზე, რაც გადაწონის მწარმოებელთა სარგებელს და სახელმწიფოს პოტენციურ შემოსავალს. მაგალითად, ტარიფის შემოღებიდან მიღებული ბიუჯეტის შემოსავლები, რაც წარმოადგენს მის უპირატესობას კვოტების წინაშე, მაგრამ მიუხედავად ამისა, არააქტიურად გამოიყენება საქართველოში. კვოტების ან სუბსიდიების განხილვისას, აგრეთვე, უნდა 93 აღინიშნოს მეურნე სუბიექტების დანახარჯები ფინანსური დახმარების ან საკვოტო რენტის (კვოტის ფარგლებში ხელსაყრელ ფასში საქონლის დათქმული რაოდენობის გაყიდვის ნებართვის) მიღების უფლებაზე, რაც ხშირად იწვევს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. ვვარაუდობთ რა უფრო ეფექტიანი სავაჭრო რეჟიმებისა და ზომათა ოპტიმალური კომპლექსის არსებობას, რომლებიც იძლევა საგარეო ეკონომიკური საქმიანობისგან მიღებული სარგებლის მაქსიმიზაციის საშუალებას, მათი დანერგვა მიგვაჩნია ნაკლებად შესაძლებლად დაინტერესებული ლობისტების სერიოზული გავლენის გამო. თუ განვიხილავთ შიგა ბაზრის ასეთი დახმარების განხორციელების შესაძლებლობებს, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ყოველთვის მოიძებნება დაინტერესებული ჯგუფები, რომლებიც შეძლებენ თავიანთი ინტერესების წინ წაწევას და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენის მოხდენას. შესაბამისად, იდეალური პოლიტიკური სისტემის არარსებობის ფაქტის გაგებას მივყავართ იდეამდე იმის შესახებ, რომ თავისუფალი ვაჭრობა, როგორც მარეგულირებელი ზომების სრული არარსებობის ვარიანტი მიგვიყვანს ყველა მოთამაშისთვის უფრო სამართლიან და თანაბარ პირობებამდე. მიუხედავად ამისა, საქართველოში ხშირად გამოიყენება ძალზე მკაცრი შემზღუდველი ზომები. მაგალითის სახით შეიძლება გავიხსენოთ შეზღუდვები თამბაქოს და ალკოჰოლური სასმელების იმპორტზე 2010 წელს. ასეთი ზომები ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე.

აკრძალვის ძირითადი გამოცხადებული მიზანი - არ იქნეს დაშვებული შიგა ფასების ზრდა - არ მიიღწევა, მაგრამ, მწარმოებლები აწყდებიან რა ასეთ მკვეთრ ჩარევას, კარგავენ ყოველგვარ ინტერესს დარგში გრძელვადიანი ინვესტიციებისადმი. ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებები შეიძლება მოხდეს მხოლოდ ეკონომიკური სისტემების მას-შტაბური ცვლილებების, ეკონომიკის ახლებურად ორიენტაციის შედეგად. ასეთი ცვლილებები შეიძლება მიღწეულ იქნეს ნაწილობრივი ლიბერალიზაციისა და კონკურენციის გაძლიერების ხარჯზე. აქ შიგა რესურსების აქტივაციის ერთ-ერთ მექანიზმად გამოდის სწორედ ღია ეკონომიკა. მაგალითად, თავისუფალი ვაჭრობა, როგორც ლიბერალიზაციის პროცესის შედეგი, ქმნის წინაპირობებს გაძლიერებისა და კონსოლიდაციისთვის, რაც საშუალებას იძლევა უფრო პროდუქტიულად იქნეს გამოყენებული მასშტაბის ეფექტი. გარდა ამისა, ის ახდენს

ინოვაციებისა და ახალი იდეებისთვის ღია ახალი კონკურენტული გარემოს გენერირებას, უშვებს უცხოური ორგანიზაციების მხრიდან ზეწოლის ზრდას და აძლიერებს კონკურენტუნარიანობის ზრდაში მოთხოვნილებას. ამავე დროს, ჩნდება საზღვარგარეთის გამოცდილების გაზიარებისა და სწავლის შესაძლებლობები და აუცილებლობა, მაგრამ, როგორც ადრე აღვნიშნეთ, საჭიროა განვითარების ასეთი ინსტრუმენტების ძალზე ფრთხილად გამოყენება.

კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ მასშტაბური ლიბერალიზაციის პროცესის თავისებურებების არსებობისა და ეროვნულ ეკონომიკასა და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე მისი გავლენის წინააღმდეგობრივი ხასიათის შესახებ. იმ პირობებში, როდესაც მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესები შეიძლება დაზარალდეს, მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის საკითხები გადადის ეკონომიკური სიბრტყიდან სოციალურ - პოლიტიკურ სიბრტყეში. მოცემული თეზისი დღეს ნათლად ჩანს მრავალი ქვეყნის ქმედებებში, რომლებიც მსოფლიო ბაზრებზე, კრიზისისა და ტურბულენტობის პირობებში, ეძებენ ეროვნულ მწარმოებელთა დაცვის ვარიანტებს და ზრდიან პროტექციონიზმის მასშტაბებს. ეს იწვევს ეროვნულ ეკონომიკურ სისტემათა ფუნქციონირების ახალი ინსტიტუციური პირობების ფორმირებას. ამიტომ, თანდათანობითი ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში და პოსტსაბჭოური ქვეყნების მვო-ში ფრთხილი შესვლა წარმოადგენს დასაბუთებულ და სწორ სტრატეგიას. ინტეგრაციული პროცესების ეტაპობრივი გაღრმავება და ვაჭრობის ლიბერალიზაცია შეთავსებულ უნდა იქნეს შიგა ბაზრის დახმარების ზომების ადაპტაციასთან და სახელმწიფო დახმარებისა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის სტიმულირების ახალი ინსტრუმენტების ფორმირებასთან.

სამამულო პროდუქციის საზღვარგარეთ ექსპორტი ქვეყანაში წარმოების განვითარების ხელშემწყობი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. ამიტომ სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს ექსპორტის სტიმულირებას, რადგანაც წარმოებისა და დასაქმების ზრდასთან ერთად, ვითარდება შესაბამისი საბაზრო ინფრასტრუქტურა. არსებობს ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირების მრავალი მექანიზმი. პირდაპირი სუბსიდია თანამედროვე ეტაპზე არის ექსპორტის სტიმულირების საკმაოდ გავრცელებული და აგრესიული ფორმა. სახელმწიფო სუბსიდიებში იგულისხმება საქონელმწარმოებელთა დანაკარგების კომპენსაცია ფულადი სახსრების პირდაპირი გაცემით, მაგრამ ხშირ შემთხვევაში იგი ხორციელდება სხვა სახის დახმარებითაც. ეს შეიძლება გამოიხატოს ექსპორტიორებისათვის მომსახურების გაწევაში, მაგალითად: ინფორმაციის მიწოდება, სავაჭრო გამოფენების ორგანიზებაში დახმარება და ა. შ.[39]

[39] ყორღანაშვილი ლ. საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. თსუ: "მერიდიანი და კაბადონი". თბ. 1997. გვ. 155.

სუბსიდირების მთავარი მიზანია საქონელმწარმოებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება. სუბსიდიების გამოყენება მკაცრადაა რეგლამენტირებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ. ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირებაში დიდი მნიშვნელობა აქვს კრედიტებსა და უცხოურ დახმარებებს. სახელმწიფო საექსპორტო კრედიტს იძლევა კომერციულ ბანკებთან შედარებით უკეთესი პირობებით. ექსპორტის ხელშესაწყობად აგრეთვე გამოიყენება მისი შერეული დაკრედიტება, სახელმწიფო და კერძო ფინანსური სახსრების შერწყმის გზით, როცა კრედიტების შეღავათიან და საბაზრო განაკვეთებს შორის სხვაობას ფარავს სახელმწიფო. მაღალგანვითარებული ქვეყნები, თავიანთი პროდუქციის „ღარიბ" ქვეყნებში რეალიზაციის წასახალისებლად, განვითარებად ქვეყნებს აძლევენ შეღავათიან, ან უპროცენტო, გრძელვადიან სესხებს. ისინი ირიბად აფინანსებენ მათივე ქვეყნის პროდუქციის ექსპორტს. ამნაირად ფინანსდება მათი ექსპორტის დაახლოებით 1/10 ნაწილი. „მესამე სამყაროს" ქვეყნებზე ამ მოტივით შეღავათიანი კრედიტების გაცემა უმეტესად პოლიტიკურ მიზანს ემსახურება. განვითარებადი ქვეყნები, ამნაირი სესხების აღებით კიდევ უფრო იმძიმებენ თავიანთ საგარეო დავალიანებას.

ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირების ერთ-ერთი მეთოდია კომერციული და პოლიტიკური რისკების დაზღვევა. ასეთ რისკებს განეკუთვნება: სავალუტო რისკის დაზღვევა, სამამულო ფირმების ნედლეულზე ფასთა მკვეთრი რყევისაგან დაზღვევა და ა. შ. ამ დროს კომერციული რისკისაგან დაზღვევა ხდება სახელმწიფო გარანტიებით.

ექსპორტის სტიმულირებისათვის ფართოდ გამოიყენება საგადასახადო შეღავათები. სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს მასტიმულირებელი საექსპორტო პოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც მთავრობა სისტემატურად უნდა სრულყოფეს სამამულო ნაწარმის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედ, ირიბი გავლენის მქონე, საშუალებებს - სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის გან-მტკიცების, სტანდარტებისა და ხარისხის რეგლამენტირების, სამამულო საქონლის პროპაგანდის და სხვა ღონისძიებათა გატარების გზით.[40]

ქვეყნის საექსპორტო საქმიანობის განვითარებისათვის მთავრობამ უნდა შეიმუშაოს ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები ადგილობრივი წარმოების სტიმულირების მიზნით. სახელმწიფომ მუდმივად უნდა იზრუნოს საკუთარი პროდუქციის ექსპორტის სტიმულირებაზე, ყველაზე სწრაფმოქმედი და ეფექტიანი მეთოდების – სატარიფო და არასატარიფო ინსტრუმენტების დახმარებით. მან ხელი უნდა შეუწყოს სამეურნეო სუბიექტების საექსპორტო საქმიანობას. ამგვარი მიდგომა ინფრასტრუქტურის განვითარების პარალელურად, შესაძლებელს გახდის ინვესტორთა დაინტერესებას ადგილობრივი წარმოებაში ინვესტირებით. მით უმეტეს, რომ ვმო-ში საქართველოს

[40]დ. ქათამაძე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. ბათუმი. 2008, 163-164

წევრობა სტაბილური, პროგნოზირებადი და საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების გარანტიაა. გარდა ამისა, ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია საგარეო ბაზარზე სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით და ექსპორტის გაფართოება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკის სტაბილური განვითარების გარემოს ჩამოყალიბებას.

ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს უცხოეთის ბაზრებზე შეღწევას და ადგილობრივ საექსპორტო სექტორში წარმოებისა და ხარჯების პირობების გაუმჯობესებას. ორივე ეს ასპექტი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებებზე მოლაპარაკებების საგანია, რომელიც განსაზღვრავს თუ რა პირობებით გაუღებენ სავაჭრო პარტნიორები ერთმანეთს თავიანთ ბაზრებს. სავაჭრო პოლიტიკა არ შემოიფარგლება მხოლოდ საზღვარს მიღმა ოპერაციების ისეთი პირობებით, როგორებიცაა ტარიფები, საბაჟო წესები და ა.შ., არამედ მოიცავს ადგილობრივი ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებსაც. მაგალითად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება მოიცავს მთელ რიგ ადგილობრივ შიდა რეგულაციებს. კერძოდ, სუბსიდიებთან დაკავშირებით, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა უპირატესი ხელშეწყობის ქვეყნის რეჟიმის სარგებლობისთვის. ამრიგად, სავაჭრო მოლაპარაკებები ეხება არამარტო სატარიფო და არასატარიფო ბარიერებს, არამედ კანონმდებლობასაც, რომელიც არეგულირებს და აყალიბებს ბაზრებს. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, კონკურენციის პოლიტიკა აღნიშნულ სფეროებში უშუალოდ ზემოქმედებს ვაჭრობაზეც. კერძოდ, ეს რეგულაციები გადამწყვეტ როლს თამაშობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ტექნოლოგიების შემოტანაში.

ევროკავშირის ერთიანი 500 მილიონიანი ბაზრის გახსნა, თავისთავად ცხადია ძალიან დიდი იმპულსის მომტანი იქნება საქართველოს ეკონომიკისათვის, იმ ინვესტიციებისთვის, რომელიც საქართველოში შემოვა. სწორედ ამ პირობების შესაქმენელად კი წარმოების პროცესისათვის აუცილებელია, ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ანუ საქართველოს რეგულაციები დაუახლოვდეს ევროკავშირის რეგულაციებს. ახალი ხელშეკრულების ფორმატი გულისხმობს არა მხოლოდ ტარიფების ლიბერალიზაციას, ანუ განულებას,არამედ იგი ითვალისწინებს აგრეთვე არასატარიფო ბარიერების შემცირებას და ძირეული რეფორმების გატარებას ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში.

გლობალური პროცესების ანალიზი აჩვენებს, რომ ინოვაციები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს რეგიონებში კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოების პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ დღემდე კონკურენტუნარიანობის ძირითად ფაქტორად მდიდარი ბუნებრივი რესურსები ითვლებოდა, ამჟამად მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორებად მიჩნეულია: სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, მაღალი კვალიფიკაციის

სამუშაო ძალა, თანამედროვე ტექნოლოგიები, კომუნიკაციის საშუალებები, ინოვაციური კულტუ-რის განვითარება და სხვა.

მ. პორტერმა აჩვენა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს კონკურენტუნარიან ინდუსტრიათა ისეთი ჯგუფი, რომლებიც მცირე ტერიტორიული განვრცობის მიუხედავად მსოფლიო ბაზარზე ლიდერის პოზიციებს ინარჩუნებენ. რეგიონულ კლასტერებზე დაფუძნებული ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის თეორიის შექმნით მ. პორტერმა დაასაბუთა, რომ კონკურენტული უპირატესობა დამოკიდებულია კლასტერებზე დამყარებულ რეგიონულ და ადგილობრივ ინოვაციურ სისტემებზე.[41]

საინოვაციო საქმიანობის შეფასება რეგიონებში შესაძლებელია ევროპული ინდიკატორების გამოყენებით განხორციელდეს. ასეთ ინდიკატორებად აღიარებულია: 1. ინოვაციური პოტენციალის შეფასება (მეცნიერთა და ინჟინერთა, უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის რაოდენობა, სამეცნიერო დაწესებულებების რიცხვი, ცოდნის დონე და ა.შ.). ამ მაჩვენებლებით განისაზღვრება ინოვაციური პოტენციალისათვის საჭირო სტრუქტურული პირობები; 2. კვლევასა და განვითარებაში ჩადებული ინვესტიციების რაოდენობა; 3. კორპორატიულ დონეზე ინოვაციებზე გაწეული ხარჯები; 4. ინოვაციურ სექტორებში ცოდნის გამოყენებით მიღებული დამატებითი ღირებულება, მეწარმეობრივი ცოდნა და უნარები; 5. ინტელექტუალური საკუთრების რაოდენობა, რომლი-თაც გაიზომება ნოუ-ჰაუს საკითხებში მიღწეული შედეგები.[42]

რეგიონულ ბაზრებზე მუდმივად იზრდება კონკურენციის ხარისხი. ეს გარემოება ადასტურებს, რომ რეგიონულ განვითარებაში მნიშვნელოვანია მეწარმეობრივი ცოდნისა და უნარების ამაღლება, ცოდნის გამოყენებით მიღებული დამატებითი ღირებულების შექმნა. მასალების ანალიზით გამოიკვეთა, რომ რეგიონულ განვითარებაში ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია დაბალი მეწარმეობრივი უნარები.

მაშასადამე, იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომელთა დასმა გამომდინარეობს გლობა-ლიზაციის გამოწვევებიდან და დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკის მდგრად და დაჩქარებულ ინდუსტრიულ განვითარებასთან, ისეთების, როგორიცაა ექსპორტ-იმპორტის სალდოს გაუმჯობესება, ექსპორტზე ორიენტირებული და იმპორტჩანაცვლებითი დარგების წინმსწრები განვითარება, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარება, სამრეწველო კვანძების და ინოვაციური ცენტრების განვითარება, მეურნეობების და წარმოებების ინსტიტუციური და ტექნოლოგიური სტრუქტურის სრულყოფა, წარმოების

[41] ე. ხარაიშვილი, კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. „უნივერსალი“ თბილისი 2011 გვ. 178

[42] ევროპის ინოვაციის მონაცემთა ინდიკატორები, ევროსაბჭოს სტატისტიკური სამსახური (Eurostat), CIS, OECD, OHM

დივერსიფიკაცია, წარმოების მომსახურების რეგიონული სისტემების განვითარება და სხვა, საჭიროა ქვეყანაში და მის რეგიონებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების კოორდინაციისა და დაფინანსების ორგანიზაციული და ინსტიტუციური სისტემების შემდგომი გაუმჯობესება. ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას და განვითარების დაფინანსებისა და ხელშეწყობის მექანიზმების (სახელმწიფო და საბაზრო) სრულყოფას და ჩამოყალიბებას.

საჭიროა ახალ ტექნოლოგიურ წყობაზე გადასვლის თანამედროვე რეალიებისა და ასევე ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, საერთა-შორისო სავალუტო ფონდისა და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნებისა და პრეფერენციების გათვალისწინება.

სტრატეგიაში საჭიროა ისეთი ფუძემდებელი მიზანდასახულობების მხედველობაში მიღება და ასახვა, როგორიცაა:

_ ქვეყნის ეკონომიკის თანდათანობითი და მუდმივი რესტრუქტურიზაციის აუცილებლობის გათვალისწინება თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის მოთხოვნებისა და ეკონომიკის დონის ამაღლებაზე ორიენტაციის აუცილებლობის მხედველობაში მიღებით;

_ თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის დამყარების ხელშეწყობის ამოცანების განსაზღვრა. ეს ნიშნავს რომ მთლიანად ქვეყნის და მისი რეგიონების დონეზე (რეგიონის პირობების და თავისებურებების გათვალისწინებით) განვითარებისათვის პრიორიტეტული დარგების არჩევას (ქალაქებში და სოფლად), ცენტრალური და რეგიონული მიზიდულობის ცენტრების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას, ექსპორტორიენტირებული, იმპორტ-ჩანაცვლებითი და სხვა აქტუალური საწარმოების განვითარებისა და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო დამხმარე ობიექტების და საწარმოების შექმნის გზებისა და მხარდაჭერის ხერხების განსაზღვრას

როგორც ყველა განვითარებადი ქვეყნები საქართველოც განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად განიხილავს ექსპორტის ზრდას. ეს საშუალებას იძლევა, დაძლიონ ადგილობრივი ბაზრის შეზღუდული შესაძლებლობები და აამაღლონ პროდუქტიულობა. ამის მისაღწევად, მრავალი მათგანი იყენებს ექსპორტის სტიმულირების სპეციალურ პროგრამებს. ამ პრაქტიკისას განვითარებული ქვეყნებიც იყენებენ.

საერთო პრობლემად უნდა ვაღიაროთ ქართული პროდუქციის დაბალი კონკურენტ-უნარიანობა, და სიძვირე. ხშირად ქართული ნაწარმი შიდა ბაზრზეც კი უფრო ძვირია ვიდრე იმპორტული საქონელი. ამას გააჩნია თავისი ობიექტური და სუბიექტური მხარეები. პირველ რიგში ქართველი მწარმოებლები მოკლებული არიან წარმოების მასშტაბზე ფარდობითი ეკონომიის მიღების შესაძლებლობას (ეს პრობლემა არ წარმოადგენს ტიპიურად ქართულ

პრობლემას, იგი დგას ყველა მცირე სახელმწიფოს მწარმოებლების წინაშე). თუმცა არსებობს სხვა პრობლემებიც.

საექსპორტო კომპანიების სტიმულირების დამატებითი მექანიზმების არარსებობა პრაქტიკულად აფერხებს ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნასა და ახალი ბაზრების მოძიებას. ვინაიდან დაბალპროცენტიანი საექსპორტო კრედიტები პოტენციურად შესაძლებელია მივიჩნიოთ კორუფციის წყაროდ, ასევე შესაძლებელია უარი ვთქვათ ამ კარგად აპრობირებული მექანიზმის გამოყენებაზე. თუმცა გაუგებარია, რატომ არ ხდება ექსპორტის დაზღვევის მექანიზმის დანერგვა. ეს გზა და შესაბამისი სტრუქტურები შექმნეს აღმოსვლეთ და ცენტრალური ევროპის ყველა ქვეყნებმა, რომ აღარაფერი ვთქვათ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე, სადაც რეალურად საფუძველი ჩაეყარა ამ მექანიზმებს. პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში აღნიშნული მექანიზმები ერთი და იმავე სქემას ეფუძნება და მიზნად ისახავს შეამციროს ექსპორტიორთა პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები. ძალზე მსგავსია ამ სტრუქტურების ორგანიზაციული ფორმებიც (BAEZ ბულგარეთი, EGAP ჩეხეთი). საქარ თველოში ყოველგვარ საღ აზრს მოკლებული მსჯელობით აღნიშნული მექანიზმები ითვლება სახელმწიფოს უხეშ ჩარევად ეკონომიკაში და ამდენად იმთავითვე უარყოფილია.

ექსპორტის სტიმულირებისთვის მრავალი მექანიზმი არსებობს. ეკონომისტები განსხვავებულად განმარტავენ ექსპორტის სტიმულირების პოლიტიკას. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ექსპორტის სტიმულირების პოლიტიკა გულისხმობს მხოლოდ გაცვლითი კურსის ეფექტურ მართვას. ხოლო უფრო ფართო გაგებით აქ იგულისხმება ნებისმიერი პოლიტიკა, რომელიც გავლენას ახდენს ექსპორტის შედეგებზე. ამ უკანასკნელს მხარდამჭერები ჰყავს როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში.

ეკონომიკურ ლიტერატურაში და სხვადასხვა პუბლიკაციებში დიდი ადგილი ეთმობა იმ საექსპორტო პროდუქციის განსაზღვრავს, რომელსაც გააჩნია ფარდობითი უპირატესობები. რასაკვირველია აღნიშნული სამუშაოების ჩატარება მნიშვნელოვანია, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტორი, რომ უმეტეს შემთხვევაში გამოყენებული მეთოდოლოგიები აანალიზებენ უკვე არსებულ საექსპორტო პროდუქციას და ამის საფუძველზე განსაზღვარავენ ფარდობით უპირსტატესობებს. ეს გარკვეული აზრით ზღუდავს საექსპორტო პოტენციალის სრულ გამოვლენას.

ექსპორტის სტიმულირების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა სავაჭრო ბარიერების მოხსნა. განვითარებადი, დაბალშემოსავლიანი ქვეყნები ხშირად აპელირებენ იმაზე, რომ ევროკავშირის პროტექციონისტული პოლიტიკა ხელს უშლის მათი ექსპორტის ზრდას. თუმცა, სინამდვილეში, განვითარებადი ქვეყენებისთვის მთავარი ხელისშემშლელი არის არა სავაჭრო ბარიერები, არამედ მათი არასაკმარისი უნარი დაიცვან სტანდარტები და პროდუქციის ხარისხი.

ექსპორტის მხარდაჭერა და წარმატება -

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითრების სააგენტომ ქართული კომპანიებისათვის პროდუქციის საექსპორტო შესაძლებლობების ხელშეწყობის კუთხით მნიშვნელოვანი სამუშაო გაწია, რამაც საკმაოდ ნაყოფიერი შედეგები გამოიღო და ეროვნული პროდუქციის პოპულარიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით 113-მა მონაწილემ 9 ქვეყანაში 7 საერთაშორისო გამოფენასა და 8 საერთაშორისო ფორუმსა თუ სავაჭრო მისიაში მიიღო მონაწილეობა შემდეგ ღონისძიებებზე: „დააგემოვნე ქართული“ (დიდი ბრიტანეთი), „აღმოაჩინე საქართველო“ (აშშ), “Gulf Food 2015“ (არაბთა გაერთიანებული საემიროები), `Sial China 2015” (ჩინეთი), `Summer Fancy Food Show 2015” (აშშ), `Riga Food 2015~ (ლატვია), “Polagra Food 2015~ (პოლონეთი), “Anuga 2015~ (გერმანია), `CPHI Worldwide 2015” (ესპანეთი). საერთო ჯამში, ექსპორტზე ორიენტირებულ ქართულ კომპანიებსა და მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული კონტრაქტების ჯამურმა ღირებულებამ 40 მილიონ ლარს გადააჭარბა.

მეწარმეობის განვითარების სააგენტომ შემდეგ კომპანიებს დაუჭირა მხარი:

ექსპორტის მხარდაჭერა

• საკვები და სასმელი პროდუქცია:

არომაპროდუქტი, აქვა გეო, მარნეულის სასურსათო ქარხანა, წყალი მარგებელი, გორის საკონსერვო ქარხანა კულა, კამპა, ნატექსი, ნატსჯი, აერ კომპანი, ევრონატსი, ანკა ფეარ თრეიდ, ბარამბო, ქართული ლუდის კომპანია, ვაზიანი, ვაინმენი, გეოპლანტი, ჯორჯიან პროდაქტს რენენსანსი,

საირმის მინრალური წყალი, უსახელაურის ვენახები, შუხმან ვაინს ჯორჯია, ბადაგონი, ფუტკარა,

ფრუტილია, ბიოპროდუქტი, შუმი, საამო, ჯიენპი, დაბი, სააქციო საზოგადოება ლომისი.

• სამედიცინო სფერო:

ჯორჯიან ჰერბს, ავერსი-რაციონალი, ინოვასი, ჯიემპი, აბი ფარმი.

• საფეიქრო მრეწველობა:

ვოგი, ელსელემა, იბერია უნიფორმი, უნისტილი.[43]

---

[43] mewarmeobis ganviTarebis saagento. წლიური ანგარიში 2015 http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5cadb8afe9dba-GEO-2015-Annual-Report-compressed.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულია 19.07.2020)

დასკვნა

დღევანდელ მსოფლიოში არსებობს მრავალი გლობალური პრობლემა, რომელთა გადაჭრა ცალკეული სახელმწიფოებისათვის შეუძლებელია და ერთიან ძალისხმევას მოითხოვს: სიღარიბის და ჩამორჩენილობის დაძლევა, მშვიდობის დამყარება და განიარაღება, სურსათით უზრუნველყოფა, ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფა, ეკოლოგიური და დემოგრაფიული სტაბილურობა, ადამიანური პოტენციალის განვითარება, მსოფლიო ოკეანის და კოსმოსის ათვისება და სხვ.

თანამედროვე მსოფლიოში მიღებული თამაშის წესების შესაბამისად უნდა შეიქმნას საექსპორტო საქმიანობის ხელშემწყობი იმგვარი გარემო, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციას და გლობალიზაციას და განაპირობებს საგარეო ვაჭრობის, კაპიტალის მოძრაობისა და სავალუტო-ფინანსური ურთიერთობების ლიბერალიზაციას. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დადებით მომენტებთანაა დაკავშირებული საგარეო ვაჭრობა. იგი თითოეულ ადამიანს საშუალებას აძლევს, მოიხმაროს მეტი და უფრო მრავალფეროვანი საქონელი და მომსახურება. დღეისათვის მეტად მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების იმგვარი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო ეკონომიკის მარეგულირებელ კანონებთან და ხელს შეუწყობს ექსპორტის განვითარებას.

როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში უფრო ადრე აღნიშნეს, ქვეყნიდან საქონლის ექსპორტის ზრდა, რომელსაც ხელი შეუწყო როგორც შიდა, ისე საგარეო დადებითმა ტენდენციებმა, 2016 წლის სექტემბრიდან ფიქსირდება.

ქართული საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაციაზე დადებითად აისახება

მიმდინარე და წარმატებით დასრულებული მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებზე, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს.

საქართველომ უკვე მოაწერა ხელი შეთანხმებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევროკავშირთან, ჩინეთთან, თურქეთთან, თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის — EFTA და დსთ-ის ქვეყნებთან.

როგორც სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, ბოლო წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებასა და ათვი- სებაში. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საგარეო ვაჭრობის განვითარების მთავარ პრიორიტეტს საქართველოსთვის ექსპორტის ზრდა და იმპორტის კლება წარმოადგენს, ეს მაჩვენებლები რა თქმა უნდა, საქართველოს საგარეო ვაჭრობისთვის ჯერჯერობით არასასურველ შედეგზე მეტყველებს. ამ ვითარების გასაუმჯობესებლად დიდ იმედებს იძლევა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის მოლაპარაკებების დასრულება, რომელიც თავის მხრივ ასოცირების შეთანხეების ნაწილია.

ბოლო პერიოდში ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. აღნიშნული კი ქვეყნის ექსპორტის გაზრდის რაც კიდევ უფრო მეტ იმედებს იძლევა, მაგრამ ევროკავშირთან ასოცირების გზაზე საქართველოს მოუწევს დიდი ძალისხმევა ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების დაძლევის მიმართულებით. საქართველო ვალდებულია დაიცვას ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობაში გაწერილი პრინციპები და მეთოდები. საქართველოსა და ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზების ურთიერთდაახლოების პროცესში, მეწარმეებთან და ექსპორტიორობთან კონსულტაციის გზით, უნდა განისაზღვროს ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორები, უნდა დანერგოს სამრეწველო პროდუქციის შესაბამისობის განსაზღვრის ევროპული მოდელები, რამაც უნდა უზრუნველყოს დაბალი რისკის მქონე საქონლის სავალდებულო სერთიფიცირებისა და განმეორებით ტესტირების თავიდან აცილება და ა.შ.

მართალია, ბოლო წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებასა და დივერსიფიკაციაში, რაზეც საქართველოს საგარეო ვაჭრობის მიმოხილვაც მოწმობს, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა საექსპორტო პორტფელის მკვეთრი გაფართოება, რათა, როგორც მინიმუმ, გაგრძელდეს ეკონომიკური ზრდა და შემცირდეს ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო სალდო. ამისათვის კი აუცილებელია გავიაზროთ ის პრობლემები, რაც ქვეყნის ექსპორტის ზრდას უშლის ხელს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეწარმეობის განვითარების სააგენტომ ექსპორტიორი კომპანიების წარმომადგენლებთან მართავს შეხვედრებს, რომლის ფარგლებშიც განიხილება ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამა. მონაწილლებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოეთქვათ

საკუთარი მოსაზრებები, რასაც სააგენტო გაითვალისწინებს საქმიანობის დაგეგმვისას. წლების განმავლობაში სააგენტომ ქართული პროდუქციის პოპულარიზაციისათვის და ექსპორტის ზრდისთვის ყველა სათანადო მექანიზმი გამოიყენა. საბოლოო სამიზნე სავაჭრო მისიების გადარჩევის პროცესი მთლიანად მორგებულია ადგილობრივი კომპანიების საჭიროებებზე, რომელშიც ყოველ ჯერზე საშუალოდ 6 ქართული კომპანია იღებს მონაწილეობას. საერთაშორისო გამოფენებსა და მისიებში ჩართულობით ქართულ კომპანიებს საშუალება ეძლევათ საკუთარი პროდუქტი სამიზნე აუდიტორიას წარუდგინონ, სათანადო კავშირები დაამყარონ საზღვრებს მიღმა დაინტერესებულ მხარეებთან, განამტკიცონ არსებული თანამშრომლობა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დააკვირდნენ ბაზარზე არსებულ ტენდენციებს და შესაბამისად დაგეგმონ კონკრეტული აქტივობები საკუთარი ბიზნესის განვითარებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე ო., საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი.. თბ., 2015
2. აბესაძე, რ. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეტაპები და თავისებურებები საქართველოში / თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული შრომების კრებული N IV 2011 გვ.
3. არევაძე ნ. საქართველოს მრეწველობა და მისი განვითარების პერსპექტივები
4. აბესაძე ო. საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2016
5. ბერიშვილი ხ., საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია და ინტეგრაცია, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარი,/ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2016
6. ბურდული ვ. სამრეწველო პოლიტიკა: რეალიზაციის ინსტიტუციური უზრუნველყოფა და ეკონომიკური მექანიზმი. _ საქართველოს მა “მაცნე”. ეკონომიკის სერია, 1996, N1-2; ბურდული ვ. გარე ეკონომიკური ურთიერთობები და სამრეწველო პოლიტიკა. _ ჟ. პოლიტიკა, 1999, N3;
7. თვალჭრელიძე ა., ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბ., გამომცემლობა ”ნეკერი”, 2011

8. მიქაბერიძე თ. საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში თბილისი 1 ავტორის სტილი დაცულია 2016
9. ოქროცვარიძე ა. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები (სახელმძღვანელო) თბ. 2009 გვ.97
10. ღაღანიძე გ.,, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018
11. საქართველოს მრეწველობა 1985-1997 წწ. სტატისტიკური კრებული, თბ. 1999.
12. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2012 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. _ თბილისი, 2013, გვ. 140-141..
13. ყორღანაშვილი ლ. საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. თსუ: "მერიდიანი და კაბადონი". თბ. 1997.
14. ქათამაძე დ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. ბათუმი. 2008,
15. ქარდავა ე. ,პარლამენტის როლი ასოცირების შეთანხმების/DCFTA-ის შესრულებისა და სამართლებრივი აპროქსიმაციის სფეროში 2017
16. ჩომახიძედ., სამრეწველო პოლიტიკის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები, ციტირებულია საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის კრებულიდან, ტ. 11, გამომცემლობა "სიახლე", თბ., 2013
17. Abesadze,O. The dynamics of trade relations with the EU in the background of deep and comprehensive Free Trade Area.Viena, 2015.
18. Bount A. The Expected Benefits of Trade liberalization for world Income and development, Opening the „Bleck Box" of Global Trade Modeling. Food Policy Review, 8, IFPRI, Washington. 2016
19. Haniotis T.. European Commission: DG for Agriculture and Rural Development. Issues of the post
20. 2013 debate. Prezentacion. 2 Organic Congress, Brussels.h 2014
21. Driskill R. Deconstructingthe Argument For Free Trade. Washington. 2015
22. Charnovitz S. Resist az Protectionism: The Top Trade Priority for the G20 Rebuilding Global Trade.
23. Collected Articles Jointly Published by International Centre for Sustainable Development. 2016
24. Charnovitz S. Resist az Protectionism: The Top Trade Priority for the G20 Rebuilding Global Trade. 2016
25. Collected Articles Jointly Published by International Centre for Sustainable Development
26. Lynn J. Doha Deal Could Boost World JDP $ 300-700 billion: Study. Reuters. 2012
27. Dadush U. Resurgent Protectionizm: Risk and Possible Remedies Collected Articles Jointly
28. Published by International Centre for Sustainable Development. 2012
29. Krugman P. and Obsveld M., International Economics. Addison-Westley Boston. 2006

30. Гриффин Р., Пастей М., Международный бизнес, изд. сангл., под ред, А. Г.Медведева, СПБ.: Питер, 2006.
31. მელქაძე ქ., ევროკავშირის ქვეყნებში ქართული ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი http://eugeorgia.info/ka/article/537/evrokavshiris-qveynebshi-qartuli-eqsportis-shemaferxebeli-faqtorebis-analizi/
32. შეთანხმება საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ; საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში. http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/association-agreement
33. მთლიანი შიდა პროდუქტი 2015 წელს; სტატისტიკის ეროვნული სამსახური; http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/pres-relizi_2015_GEO.pdf
34. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2016 წელი http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/Trade_turnover_2016.pdf
35. საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში 2017 http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FTrade_12_2017-GEO-with%20cover.docx.pdf
36. *საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს საგარეო ვაჭრობა - 2018 წელი. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12*
37. *საგარეო ვაჭრობა 2015-2020 .* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba
38. *ევროკავშირის ინოვაციური საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა და საქართველოს საგარეო ეკონომიკური პრიორიტეტები.* https://www.researchgate.net/publication/31686173_evrokavshiris_inovatsiuri_sagareo_ekonomikuri_politika_da_sakartvelos_sagareo_ekonomikuri_prioritetebi [accessed May 20 2018].
39. იმპორტ–ექსპორტი. საერთაშორისო ვაჭრობაhttp://bbi.ge/uploads/training_26.pdf
40. http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/80334/%E1%83%
41. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7
42. ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება. http://www.economy.ge/uploads/dcfta/teqsti_danarti/GEO_3_1.pdf
43. სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომებიhttp://www.economy.ge/?page=economy&s=41
44. შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ http://www.ei-lat.ge/vin-vin-aris/saqarthvelos-da-evrokavshiris-urthierthobebi/363
45. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზი http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12